ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სააკაშვილი პოროშენკოს ოპოზიციაში მიდის



გვ.2

რას ითხოვს ოდესის გუბერნატორი

## 12 აპრილიდან

კანდიდ ჩარკვიანი

**სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ოთხშაბათი, 13 აპრილი, 2016

№87 (7013)

ფასი: 50 თეთრი

# გაურიგდება თუ არა ნაცმოძრაობა რესპუბლიკელებსა და ეროვნულ ფორუმს



მიხეილ მაჭავარიანი: „15 აპრილამდე მოვიცდით და მერე....“

„ქართული საარჩევნო კოდექსის შეცვლას თუ შეეცდებიან, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ. „გირჩი" რომ ცუდზე არ მეხატება, კარგად იცით, მაგრამ, როცა საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს, მხარი დავუჭირე"



გვ.2

„იმ სისტემას ძირითადად რესპუბლიკელები „აწვებოდნენ“ და ახლა შესაძლოა ეს სისტემა ბუნებით მაჟორიტარებმა დაბლოკონ“

ეროვნული ფორუმი

## რას ითხოვს სამართალი?



გვ.5

ანა ნაცვლიშვილი: „ახალი კამპანიის ადრესატები პარლამენტი და იუსტიციის სამინისტრო არიან“

## თიბილოვს მინისტრები აუმხედრდნენ



სამთავრობო დაპირისპირება ცხინვალში

გვ.3

## ბიძინა გუჯაბიძე: „ხალხმა იცის, რომ ტერიტორიული მთლიანობა დღესვე ვერ აღდგება“

გვ.4



## ანი მიროტაძე: „ირაკლი შოთაძე პარლამენტში უნდა მოვიდეს“

გვ.3



## „Freedom House“: „ქართული ოცნების“ მთავრობამ ბოლო წლის განმავლობაში დემოკრატიული ინსტიტუტები გააძლიერა“




გვ.6

ქართული ოცნება

ISSN 1987-9385

## მეგის ქარდავა რომან ღუმბაძის მკვლელობის შემკვეთად დასახელდა




გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გაურიგდება თუ არა ნაციონალური მოძრაობა რესპუბლიკელებსა და ეროვნულ ფორუმს

## მიხეილ მაჭავარიანი: „15 აპრილამდე მოვიცდით და მერე...."

შორენა მარსაგიშვილი

**რა იმედები გაუცრუა ნაციონალებს კვირიკაშვილმა, შექმნიან თუ არა კოალიციას რესპუბლიკელებთან და ფორუმთან, რა ამბის გაგებას ელოდებიან მამუკა კაციტაძისგან? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**



***– ნაციონალებმა გიორგი კვირიკაშვილის 100 დღიანი მუშაობის შეფასება გამოაქვეყნეთ. აქამდე პრემიერების მუშაობას ასეთ ვადებში არ აფასებდით და ახლა რა ხდება?***

– ჩვენზე უკეთ მის მუშაობას მოსახლეობა შეაფასებს, ჩვენ ჩვენი სათქმელი ვთქვით, თუ როგორ შეხვდა საქართველო გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის 100 დღეს. ამ პერიოდში ბოლო 4 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. 2012 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში ეკონომიკა 6.7%-ით გაიზარდა. წელს დროის იგივე მონაკვეთში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1,7% იყო.

საქართველოში საგარეო ვალმა ისტორიულად ყველაზე მაღალ მაჩვენებელს – 15 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს მონაცემები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა. ბოლო 5 წლის მანძილზე ექსპორტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ჩვენი თუ არ გჯერათ, ენდიაის კვლევებს მაინც დაუჯერეთ. ეს კვლევები მარტში ჩატარდა და მოსახლეობა ამბობს, რომ კვირიკაშვილის გაპრემიერებით მათთვის არაფერი არ შეიცვალა. არადა ამ პრემიერის მიმართ მოლოდინები ნამდვილად იყო.

***– ეს მოლოდინები თქვენ პარტიასაც ხომ ჰქონდა?***

– ვფიქრობდით, რომ ეკონომისტი კაცია და რაღაცები შეიცვლებოდა. არადა არ უნდა გვქონოდა ამის იმედი. რაღაც პერიოდი ის ეკონომიკის მინისტრი იყო და მაშინ დაგვექცა თავზე ეკონომიკა. ვთვლიდით, რომ მაშინ ყველაფერს ირაკლი ღარიბაშვილი წყვეტდა.

პრემიერად დამტკიცების დღეს კვირიკაშვილმა საჯაროდ გვითხრა, რომ მზად არის შეგვხვდეს და გაეცნოს ჩვენს პროგრამას. მას შემდეგ 100 დღე გავიდა და შეხვედრის სურვილიც კი არ გამოუთქვამს. ამ ფონზე შეიტანა მოგების გადასახადის ცვლილება, რაზეც თავად ბიზნესმა თქვა, არ გვინდა ეს გადასახადიო.

მთავრობა მზად იყო, შეემცირებინა 400 მილიონი. საუბარია ადმინისტრაციულ ხარჯებზე (ხელფასი, დანამატი, პრემია). ამაზეც უარი თქვა. საარჩევნო კოდექსზეც გადავალ ბარემ, გვქონდა მოლოდინი, რომ იქ ცვლილებები შევიდოდა. ამის პირობაც პრემიერმა დადო, მაგრამ არაფერი იცვლება.

ვერ დავივიწყებ გარდაბანში ჩატარებულ არჩევნებსაც, რომელიც კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ჩატარდა. იმ დღეს რეალურად დავდექით სისხლისღვრის საფრთხის წინაშე. ნიღბიანი და შეიარაღებული ხალხი თავისუფლად გადაადგილდებოდა საარჩევნო უბნებზე.

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასაც ვერ ავუვლით გვერდს. ესეც კვირიკაშვილის პრემიერობისას მოხდა. მან ჩვენი მოლოდინი არ გაამართლა. ვიცი, რომ მთავრობა თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია ერთ ადამიანზე – ივანიშვილზე. ამის მიუხედავად, მაინც მეგონა, რომ კვირიკაშვილი რაღაცებს შეცვლიდა.

***– რატომ გეგონათ?***

– მან ძალიან კარგად იცის, რომ პრემიერ-მინისტრი დიდი ხნის მანძილზე არ იქნება და ისტორიაში იმით შევიდოდა, რომ რაღაცები შეცვალა.

***– თქვენ საიდან იცით, რომ მან ეს იცის ან ის, რომ ეს მართლაც ასე მოხდება?***

– წინ არჩევნებია და კვირიკაშვილმა ყველაზე უკეთ იცის, რომ „ქართული ოცნება" დამარცხდება. ეს მაფიქრებინებდა, რომ ის შეეცდებოდა, ისტორიაში შესულიყო როგორც რაღაცის გამკეთებელი პრემიერი.

***– ზევით უამრავი პრეტენზია წამოუყენეთ პრემიერს და 100 დღე ამ პრობლემების გამოსასწორებლად საკმარისი იყო?***

– ვინ გითხრათ, რომ 100 დღე საკმარისია. ამ ყველაფრის გამოსწორებას ბევრჯერ 100 დღე დასჭირდება.

***– აბა ამ კაცს რატომ სთხოვთ სასწაულის მოხდენას 100 დღეში?***

– არაფერ სასწაულს არ ვითხოვთ, მისგან მხოლოდ განცხადებას ველოდით და ესეც არ გააკეთა. საარჩევნო სისტემის შეცვლაზე მუშაობის დაწყება ნამდვილად შეიძლებოდა. ამის თქმას 100 დღე კი არა, 100 წუთიც არ სჭირდება.

***– ამის გამო მისი უნდობლობის საკითხის დაყენებას ხომ არ აპირებთ?***

– არა. მივიდეს არჩევნებამდე. ამ მიმართულებით ჩვენი აქტიურობა საჭირო არ არის. საპარლამენტო უმრავლესობას ისედაც შეექმნა პრობლემები. ფორუმი საერთოდ წავიდა, რესპუბლიკელები ამბობენ, რომ სანამ მათი თანაპარტიელები მინისტრები იქნებიან, მანამდე დარჩებიან უმრავლესობაში და მერე თავის გზას დაადგებიან.

***– აქედან გამომდინარე ნაციონალები ფორუმთან და რესპუბლიკელებთან ხომ არ აპირებთ თანამშრომლობას?***

– დრაკონული საარჩევნო კოდექსის შეცვლას თუ შეეცდებიან, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ, „გირჩი" რომ გულზე არ მეხატება, კარგად იცით, მაგრამ როცა საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს, მხარი დავუჭირე.

***– რესპუბლიკელებზე და ფორუმზე მეტად არ გეხატებათ „გირჩი" გულზე?***

– „გირჩი" არ მეხატება და ვსიო, რომ მეხატებოდნენ, ერთად ვიქნებოდით.

***– ნაციონალური მოძრაობა აპრილში აპირებდით საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილების წარმოდგენას, რა ხდება ამ მიმართულებით?***

– ველოდებით არასაპარლამენტო ოპოზიციას. რამდენიმე დღის წინ შევხვდი მამუკა კაციტაძეს. რომელიც თავის მხრივ ეკონტაქტება კვირიკაშვილს და დავაბარე, რომ 15 აპრილისთვის გაგვცენ საბოლოო პასუხი, რას აპირებენ საარჩევნო კოდექსზე.

***– 15 აპრილი რატომ შეარჩიეთ?***

– მთავრობამ უთხრა კაციტაძეს, 15 აპრილამდე გვაცადეო.

***– 15 აპრილის შემდეგ რა იქნება?***

– პლენარულ სხდომაზე გავიტანთ ამ ცვლილებებს. „ქართული ოცნების" ცვლილებებსაც რაღაც პრობლემები ექმნება.

***– იმათ ცვლილებას რაღა პრობლემა ექმნება?***

– იმ სისტემას ძირითადად რესპუბლიკელები „აწვებოდნენ" და ახლა შესაძლოა ეს სისტემა ბუნებით მაჟორიტარებმა დაბლოკონ.

***– ნაციონალებშიც ბლომად გყავთ ბუნებით მაჟორიტარები.***

– გვყავს, გვყავს და ცუდი გაგებით სულ არ მიხსენებია ეს ტერმინი.

***– რაკი ფორუმი და რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას" გაემიჯნენ, დაუჭერენ ისინი თქვენს ცვლილებებს მხარს?***

– ალბათ დაგვიჭერენ. წინასწარ არ მინდა რაღაცების თქმა. მათთან ალბათ გვექნება საუბარი და თუ ჩვენს ინიციატივას დაუჭერენ მხარს, ძალიან კარგი იქნება.

***– შემთხვევით ახალ უმრავლესობასაც ხომ არ შექმნით?***

– არა, ამის საჭიროება არ არის.

***– წინა სასესიო კვირაში სუსის უფროსისთვის უნდა მოგესმინათ და ეს მოსმენა ჩაიშალა. როდის მოუსმენთ ვახტანგ გომელაურს?***

– ჩვენ მის მოსასმენად სულ მზად ვართ, მაგრამ „ქართულ ოცნებას" არ უნდოდა ეს. სხდომა რომ ჩაშალეს, დარბაზში ვიყავი და ვხედავდი, რაც ხდებოდა. დარბაზში თავიდან ბლომად იყვნენ „ოცნების" დეპუტატები, მერე ადგნენ და ნელ-ნელა დაიწყეს გასვლა. სხდომის ჩასაშლელად ყველაფერი გააკეთეს. 11 აპრილს ბიუროს სხდომაზე დავაყენე გომელაურის მოსვლის საკითხი, მაგრამ პასუხი ვერ გამცეს, როდის მოვა სუსის უფროსი. იმავე სხდომაზე არც იმაზე მივიღეთ პასუხი, თუ როდის გაიტანენ ჩვენ მიერ მომზადებულ რეზოლუციას.

***– მაშინ თქვით, რომ წლების მანძილზე იყავით ვიცე-სპიკერი და კარგად იცით, როგორ ხდება საკითხების ჩაჩოჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც სცოდავდით ამ მიმართულებით?***

– ასეთი რამ არასდროს მიკადრია! გახსოვთ, ვინმეს ეჩხუბოს, ჩვენი კანონი რატომ არ გამოდის განსახილველადო?! ჩემი თუ არ გჯერათ, ჯონდის ჰკითხეთ, ბალათურიას. სულ მაგის კანონები გამოდიოდა. თუ არ გინდა რაღაცის მიღება, მხარს ნუ დაუჭერ, მაგრამ საკითხის გაჩოჩება რა წესია! 4 თვეა, ეს რეზოლუცია დევს და არაფრით არ გააქვთ.

***– რა გიწერიათ ამ რეზოლუციაში ამისთანა?***

– მხოლოდ კარგი.

***– რა არის ეს კარგი?***

– საქართველოს ევროპულ არჩევანს უჭერს მხარს. უფრო ზუსტად თუ გაინტერესებთ, გია ბარამიძესთან გადაამოწმეთ.

***– უკრაინაში ისევ გამწვავდა ვითარება. თქვენი გუნდის ნახევარი იმ პროცესებშია ჩართული და ეს არჩევნებზე ხელს არ შეგიშლით? ორ ფრონტზე ბრძოლა ადვილი იქნება ვითომ?***

– უკრაინაში ჩვენი თანაგუნდელები მართლაც მრავლად არიან, ისინი იქ საქართველოს საქმესაც აკეთებენ. ამიტომაც მათ სულით და გულით ვგულშემატკივრობთ. აქაურ საქმეებში ეს ხელს არ შეგვიშლის, იმიტომ, რომ აქაც მრავლად ვართ. საკალათბურთო ენაზე რომ ვთქვა, გრძელი სათადარიგო სკამი გვაქვს.

***– საარჩევნოდ გრძელი სათადარიგო სკამიდან ძირითადი შემადგენლობის შერჩევა მოგიწევთ და უკმაყოფილოთა რიგიც გრძელი ხომ არ იქნება?***

– ვიღაცა ალბათ განაწყენდება, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ერთი რამ იცოდეთ, ყოველთვის უმჯობესია კონკურენციის არსებობა. ასე უფრო ღირსეულებს შევარჩევთ ძირითადისთვის.

# სააკაშვილი პოროშენკოს ოპოზიციაში მიდის

## რას ითხოვს ოდესის გუბერნატორი

შორენა მარსაგიშვილი

10 აპრილს არსენ იაცენიუკმა რომ უკრაინის პრემიერის თანამდებობა დატოვა, ეს ამბავი მიხეილ სააკაშვილმა და ნაციონალებმა დიდი ზარზეიმით აღნიშნეს. საქართველოს ნაპრეზიდენტალის თქმით, ეს მათი ბრძოლის პირველი შედეგია.

რეფორმატორების გუნდს იმის იმედიც ჰქონდა, რომ უკრაინის მთავრობის მეთაურად სააკაშვილის კანდიდატურა იქნებოდა წარდგენილი.

მათი მოლოდინი არ გამართლდა და რეფორმატორები ძალიან გაბრაზდნენ. აღშფოთება ვერც ოდესის ოლქის გუბერნატორმა დამალა. მან პრეზიდენტ პოროშენკოს ულტიმატუმი წაუყენა და ოპოზიციაში წასვლით დაიმუქრა.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მან უკრაინის მთავრობა დაპირებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.

– რეფორმებთან დაკავშირებით არცერთი დაპირება, რომლებიც მაიდანის შემდეგ გაიცა, არ შესრულებულა, ჩვენ ყველას გვატყუებენ, – აღნიშნა გამწარებულმა სააკაშვილმა.

ნაპრეზიდენტალი იაცენიუკის გადადგომით კმაყოფილია, მაგრამ ვარაუდობს, რომ მარტო მისი წასვლა საკმარისი არ არის.

– იაცენიუკი რომ წავიდა, ეს კარგია, მაგრამ პრობლემა მხოლოდ იაცენიუკში არაა, პრობლემა მთლიან პოლიტიკურ კლასსა და ქვეყნის შიდა პროცესებთან და რეფორმებთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიდგომებშია, – აღნიშნა ოდესის ოლქის გუბერნატორმა.

მან უკრაინის რადის დეპუტატებს მოუწოდა, მთავრობის წარდგენილ შემადგენლობას მხარი არ დაუჭირონ.

დეპუტატებს თუ თხოვნით მიმართა, პრეზიდენტ პოროშენკოს მოთხოვნები წაუყენა. უკრაინული მედიის ცნობით, გუბერნატორი პრეზიდენტს რამდენიმე მოთხოვნას უყენებს.

ის მთავრობის ფორმირებას სახალხო ნდობის საფუძველზე, ღია განხილვის შემდეგ ითხოვს.

მას ოდესის ოლქშიც სურს რამდენიმე საკადრო ცვლილების განხორციელება.

– დაუყოვნებლივ, მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში გადააყენოს ოდესის ოლქის პროკურორი ნიკოლაი სტოიანოვი და დანიშნოს ისეთი პიროვნება, რომელიც ხალხის ნდობით ისარგებლებს, ასევე, გაწმინდოს პროკურატურა იმ ადამიანებისგან, რომლებიც საყვარელიძეს დევნიდნენ. აღძრას საქმე ოდესის მერის წინააღმდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ მან მოატყუა საარჩევნო კომისია, დამალა თავისი რუსული პასპორტი, ასევე იმის გამო, რომ მას აქვს არაპატიოსანი გზით შეძენილი მრავალმილიონიანი დამალული ქონება, – მოითხოვს სააკაშვილი.



მოთხოვნების ნუსხა ამით არ სრულდება. მას უშიშროების სამსახურთანაც აქვს პრეტენზიები და პოროშენკოსგან სასწრაფო რეაგირებას ითხოვს.

– გაუშვას უშიშროების ადგილობრივი სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ სეპარატისტებსა და კორუფციონერებს ებრძოლონ, რეფორმატორების შევიწროებით არიან დაკავებულნი. შეიცვალოს ადგილობრივი საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლობა, რომლებიც რეალურად კორუფციით არიან დაკავებულნი, – აღნიშნულია ნაპრეზიდენტალის ულტიმატუმში.

სააკაშვილი აცხადებს, რომ მას არ სურს, რეფორმების შირმად იქცეს და პრეზიდენტმა პოროშენკომაც არჩევანი უნდა გააკეთოს, რადგან უკრაინელი ხალხი მეტს აღარ მოითმენს.

სააკაშვილის განცხადებით, პოროშენკომ მისი მოთხოვნები უახლოეს დღეებში უნდა დააკმაყოფილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რეფორმატორების გუნდთან ერთად ოპოზიციაში გადასვლას აპირებს:

– ასე თუ არ მოხდა, რეფორმატორებს მოქმედ ხელისუფლებასთან საერთო აღარაფერი ექნებათ. ყველა რეფორმატორი, არა მხოლოდ ოდესაში, უნდა წავიდეს და ცალკე გუნდი შექმნას იმისთვის, რომ ქვეყანაში ყველაფერი შეიცვალოს ყველაზე გადამწყვეტი, ყველაზე სწრაფი კონსტიტუციური საშუალებით და ტყუილი დაპირებებით უსასრულოდ არ იკვებოს, – განაცხადა სააკაშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეგის ქარდავა რომან დუმბაძის მკვლელობის შემკვეთად დასახელდა



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2016 წლის 7 აპრილს გამოტანილ იქნა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და 8 აპრილს ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუსწრებლად იქნა მიცემული საქართველოს მოქალაქე მეგის ქარდავა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, საქართველოს მოქალაქის, გენერალ-მაიორ რომან დუმბაძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის შეკვეთის ფაქტზე.

გამოძიებით დადგენილია, რომ მეგის ქარდავა შუამავლის მეშვეობით რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებას დაუკავშირდა და რომან დუმბაძის მკვლელობა შეუკვეთა. 2012 წლის 21 მაისს ქ. მოსკოვში ოთხკაციანმა ჯგუფმა აღნიშნული მკვლელობა გარკვეული თანხის სანაცვლოდ განახორციელა.

ოთხივე პირი სასჯელს რუსეთის ფედერაციაში იხდის, ხოლო შუამავალი საქართველოში იქნა დაკავებული და იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

რომან დუმბაძე 2004 წლიდან სასჯელს იხდიდა საქართველოში სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. 2008 წლის 27 აგვისტოს იგი შეწყალებული იქნა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის განკარგულებით. სისხლის სამართლის საქმეს მინიჭებული აქვს საიდუმლოების გრიფი.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის დეტალები არ ხმაურდება.

# ანი მიროტაძე: „ირაკლი შოთაძე პარლამენტში უნდა მოვიდეს“

## „ბარიერის გადალახვის პრობლემას არც განვიხილავთ“



ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პარლამენტის დეპუტატი, ეროვნული ფორუმის წევრი ანი მიროტაძე აფასებს.**

***– საპარლამენტო ოპოზიცია და მათ შორის ეროვნული ფორუმი მთავარი პროკურორის პარლამენტში მისვლას ითხოვთ. გაჩნდა მოსაზრება, რომ რადგან საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეთ, ამიტომ აკეთებთ ასეთ ომახიან განცხადებებს. რამდენად მოითხოვდით იგივეს, კოალიციაში რომ დარჩენილიყავით?***

– არა, ეს ასე არ არის. როდესაც აზრი მკითხეს, მეც ვუპასუხე. ზოგადად ეს მოსაზრება, რომ მთავარ პროკურორს მოვუსმინოთ მოსმენებთან დაკავშირებით, გაუჩნდათ თავისუფალ დემოკრატებს. მეც მიმაჩნია, რომ რადგან ეს არის გახმაურებული თემა, კარგი იქნება, საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს გაეცეს პასუხი. გამოძიებაში თუ სერიოზული შედეგებია და გამოძიების პროცესი მიმდინარეობს წარმატებულად, ესეც უკვე თემაა, რომ ჩვენ გვქონდეს უფრო მეტი ინფორმაცია.

სულაც არ არის ოპოზიციის ექსკლუზივი ძალოვნების პარლამენტში მოსვლის მოთხოვნა. თუ გუნდს უნდა, რომ ჯანსაღად იმუშაოს, უმრავლესობასაც აქვს ლეგიტიმური უფლება, ყველა კითხვაზე მოისმინოს პასუხი, როდესაც საზოგადოებაში ეს კითხვები დაგროვილია. მით უმეტეს, დაკავებული არიან კონკრეტული პიროვნებები, კადრების გავრცელება კი ისევ ხდება და ვერ ხერხდება მათი წარმომავლობის გარკვევა.

***– რატომ ვერ ხერხდება, მით უმეტეს, რომ ამდენი ღონისძიება გატარდა?***

– სწორედ ეს რის ჩვენი კითხვაც. თქვენ ძალიან ლოგიკურად მიხვედით ამ კითხვამდე – რატომ ვერ ხერხდება? შესაძლოა, სულაც ისეთი მიზეზი თქვას მთავარმა პროკურორმა, რომ ჩვენთვის ნათელი და მკაფიო გახდეს, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ამ ყველაფრის გამოძიება. მხოლოდ ეს არის, თორემ ნამდვილად არა გვაქვს იმის ახირება, რომ ჩვენთან დაკითხვაზე მოვიდეს მთავარი პროკურორი თუ მისი წარმომადგენელი. ეს პროკურატურის ინტერესებშიც ხომ შედის, თუ საკანონმდებლო ორგანოსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ექნება.

***– უმრავლესობა ვერ ხედავს მთავარი პროკურორის მოსვლის აუცილებლობას პარლამენტში. რატომ, სათქმელი არაფერი აქვს ამ ეტაპზე?***

– არ ვიცი, ეს უმრავლესობის მოსაზრებაა. შეიძლება მათ არ აქვთ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციების მოპოვების პრობლემა. შეიძლება ესეც იყოს მიზეზი.

***– ანუ თავად ინფორმირებულები არიან?***

– შესაძლებელია. აბა, სხვაგან სად უნდა ხდებოდეს ინფორმაციების მოძიება და დაგროვილ კითხვებზე პასუხების გაცემა, თუ არა პარლამენტში?! თვითონ უმრავლესობა უნდა იყოს ამით დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმი იყოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის.

***– ფორუმმა აქტიური თანამშრომლობა დაიწყო მესამე სექტორთან. შეხვედრაც გაიმართა თქვენსა და ეკა გიგაურს შორის. რა საკითხებს განიხილავდით?***

– ეროვნული ფორუმის, როგორც დამოუკიდებელი ფრაქციის ფორმატში, ჩვენ გვქონდა პირველი შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, მათი ინიციატივით. ეს უკავშირდებოდა სამომავლო თანამშრომლობას.

***– თანამშრომლობას რა საკითხებში?***

– საკანონმდებლო ინიციატივების დონეზე. მათ აქვთ რამდენიმე ინიციატივა. მათ შორის ერთ-ერთი უკავშირდება დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნას. უკავშირდება ფარული მიყურადების შესახებ კანონში ცვლილებებს და ე.წ. გასაღების ფლობის პრინციპის შეცვლას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა კონსულტაციები. ჩვენ გავცვალეთ ჩვენი მოსაზრებები და შეხედულებები.

***– მხარს დაუჭერთ მათ ინიციატივებს?***

– თუკი დამტკიცდება, რომ ეს ბევრად უფრო ეფექტური და კარგია, ჩვენ ამ მხრივ პრობლემებს არ შევქმნით. ჩვენ არც მანამდე გვქონია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობაში პრობლემები.

***– წინასაარჩევნო პერიოდია, რამდენად იქნება ეროვნული ფორუმი ხელისუფლებასთან მწვავე ოპონირების რეჟიმში? რამდენად გადაიქცევით ნამდვილ ოპოზიციად?***

– ეს ჩვენი აჩემებული პოზა არ არის. თუ ნაციონალური მოძრაობა მწვავე ოპონირების რეჟიმშია, რა, ის მწვავე ოპოზიციაა?! ის გაურკვეველი ოპოზიციაა, მხოლოდ თავის თავის გადარჩენა უნდათ და წარმოდგენაც არა აქვს, პოლიტიკურად რამდენ არასწორ ნაბიჯს დგამს, თუმცა ეს მათი პრობლემაა.

მე არ მგონია, რომ ეს სწორი შეფასება იყოს, რომ თუ ნაციონალებივით მწვავე ვიქნებით, მაშინ ვიქნებით რეალური ოპოზიცია. არც ე.წ. პოლიტიკური პოზა არ გვჭირდება, რომ მაინცდამაინც ოპოზიციად ჩავითვალოთ. სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე ღიად ვითანამშრომლებთ უმრავლესობასთან და მას პრობლემებს არ შევუქმნით. სახელმწიფოებრივი საკითხები პარტიულ კეკლუცობაზე მაღლა დგას!

***– თუ განსხვავებული მოსაზრებები გექნებათ?***

– ესეც იქნება მკაფიოდ დაფიქსირებული. სწორედ მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელმაც, როდესაც მურუსიძე დაინიშნა იუსტიციის საბჭოში, წინააღმდეგობა გამოვხატე ამის მიმართ და ვთქვი, რომ ეს იყო დიდი შეცდომა ხელისუფლების მხრიდან. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დღეს ჩვენ გვაქვს მართლმსაჯულებაში, თუ არ მოხდება მართლმსაჯულების სისტემის სწორი რეფორმირება, ჩვენ შეიძლება შეგვექმნას პრობლემები.

***– არჩევნებზე რა შანსები გაქვთ?***

– შანსებზე წინასწარ ვერ ვილაპარაკებ. ყველაფერი დამოკიდებულია პროცესზე. რამდენად ჯანსაღად წარიმართება პროცესი. პროცესის სიჯანსაღის განსაზღვრას რამდენიმე შემადგენელი ნაწილი აქვს, მათ შორის ერთ-ერთი არის ის, რამდენად სამართლიანი, დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი გარემო იქნება შექმნილი ყველა სუბიექტისთვის.

ჩვენ ბარიერის გადალახვის პრობლემას არც განვიხილავთ. არც გვიფიქრია იმაზე, რომ ვერ გადავლახავთ. მთლიანად პოლიტიკურ სპექტრზეა დამოკიდებული, რამდენად მოვახერხებთ თვისობრივად ახალი არჩევნების ჩატარებას.

***– ამაში რას გულისხმობთ?***

– წინა არჩევნები სულ სხვა სიტუაციაში ჩატარდა. პარლამენტში სულ სხვა მოცემულობაა. ის ძალთა ბალანსი, რაც დღევანდელ პარლამენტშია, არ ასახავს ჩვენი ამომრჩევლის ნებას. ვერავინ დამაჯერებს, რომ პარლამენტში უნდა იჯდეს ნაციონალური მოძრაობის სიით გასული ამდენი დეპუტატი.

იმედი მაქვს, რომ ეს არჩევნები რადიკალურად განსხვავებული იქნება და არ იქნება არც ერთი კითხვის ნიშანი მის სამართლიან და დემოკრატიულად ჩატარებაზე.

# თიბილოვს მინისტრები აუმხედრდნენ

## სამთავრობო დაპირისპირება ცხინვალში

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალი დიდი ალიაქოთის მოლოდინშია. სამხრეთელი ოსები თავიანთი ლიდერის ბოლო ახირებით ძალიან შეწუხდნენ. ლეონიდ თიბილოვის სარეფერენდუმო ვნებებმა უკვე მინისტრებიც გამოიყვანა წყობილებიდან და 11 აპრილს ერთ-ერთმა მათგანმა თანამდებობა დატოვა.

რესპუბლიკა საგარეო მინისტრის გარეშე დარჩა. კაზბულატ ცხოვრებოვი თავისი სურვილით წავიდა თანამდებობიდან.

ოსურმა და რუსულმა სააგენტოებმა სანდო წყაროებზე დაყრდნობით დილიდან გაავრცელეს ცნობა, რომ ცხოვრებოვმა პოსტი დატოვა. თავიდან საგარეო უწყება ამ ინფორმაციას არ ადასტურებდა. მოგვიანებით თავად ცხოვრებოვიც გამოვიდა მედიასთან კონტაქტზე და ინფორმაცია დაადასტურა.

– დიახ, მე საკუთარი სურვილით დავტოვე თანამდებობა, სხვა კომენტარების გაკეთებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, – განაცხადა რუსულ-ოსურ მედიასთან საუბარში ოსური დიპლომატიის ყოფილმა მამამ.

მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია



გაავრცელა სამხრეთ ოსეთის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მადინა შავლოხოვამ.

ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მადინა შავლოხოვა წერს, რომ მინისტრის გადადგომის ძირითადი მიზეზი პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის პოლიტიკურ კურსია:

– აღსანიშნავია, რომ ეს იმ მომენტში მოხდა, როდესაც თიბილოვი სამუშაო ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა, – წერს რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი.

რამდენიმე დღის წინ სამხრეთელთა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმი აგვისტოში გაიმართება.

როგორც რუსული მედია წერს, რეფერენდუმთან დაკავშირებით რამდენიმე მინისტრს განსხვავებული პოზიცია აქვს. ერთ-ერთი მათგანი იყო ცხოვრებოვი, რომელიც წავიდა. არ არის გამორიცხული, მას კიდევ რამდენიმე ჩინოსანი მიეწიოს.

თიბილოვმა ცხოვრებოვს ოსური დიპლომატია გასული წლის ზაფხულში უბოძა. მანამდე მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა, რომელზეც 2009 წელს დაინიშნა.

აღსანიშნავია, რომ თიბილოვი თავის საგარეო საქმეთა მინისტრებთან საერთო ენას ვერ პოულობს. გასულ წელს მას ამირან დიაკონოვი აუმხედრდა და ის თანამდებობიდან გადააყენა.

ამ გადაყენებას ცხინვალის პოლიტიკურ ველზე დიდი ხმაური მოჰყვა. მაშინვე ითქვა, რომ დიაკონოვსაც დაუწუნებია თიბილოვის საგარეო კურსი და ის ცხინვალის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს.

მას მაშინ უთანხმოება პრემიერთანაც მოუვიდა და მას პარლამენტმაც გამოუცხადა უნდობლობა. მოგვიანებით დიაკონოვმა ამაზე განმარტება გააკეთა და უთანხმოების მიზეზები განმარტა.

– მე მოვითხოვე, რომ რუსეთიდან შემოსული თანხების ხარჯვა მაქსიმალურად გაკონტროლებულიყო. ამას არც ჩემი კოლეგები და არც დეპუტატები არ დათანხმდნენ, – თქვა ნამინისტრალმა.

მისი მტკიცებით, რუსეთიდან შემოსული თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. ამ ამბავში ყოფილი პრეზიდენტი კოკოითი იყო შემჩნეული. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ მხრივ უცოდველი არც დღევანდელი ხელისუფლებაა.

ეს საკითხი მოსკოვსაც სერიოზულად აწუხებს. ცხინვალში რამდენჯერმე კომისიაც აფრინეს, მაგრამ არავინ დაუსჯიათ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბიძინა გუჯაბიძე: „ხალხმა იცის, რომ ტერიტორიული მთლიანობა დღესვე ვერ აღდგება“

## „ქორწინების თემა ჩვენ არ გამოგვიგონებია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ენდიას კვლევების თანახმად, გამოკითხულები ქვეყნის მთავარ პრობლემებად ასახელებენ უმუშევრობას, გაზრდილ ფასებს, სიღარიბეს, დაბალ პენსიებს. საქართველოს ტერიტორიულმა მთლიანობამ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. პარლამენტის უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „კონსერვატორების" წარმომადგენელი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ვარაუდობს, რომ ეს მონაცემები შორს არ არის რეალობისგან. ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უახლოეს ხანში ვერ გადაიჭრება.**



**ბიძინა გუჯაბიძე:**

— ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ტერიტორიული მთლიანობა არ ლიდერობს დასახელებულ პრობლემებს შორის. ადრინდელ გამოკითხვებში ეს საკითხი ხან მესამე იყო და ხან — მეოთხე. ხალხმა იცის, რომ ამ ეტაპზე ჭირს ტერიტორიული მთლიანობის ალდგენა. ამიტომ აღმოჩნდა ეს პრობლემა მეხუთე ადგილზე. უმუშევრობის დასახელება მთავარ პრობლემად არაა გასაკვირი.

### „ძირეულ საკითხებში ხელისუფლებას დავუჭერთ მხარს“

— ენდიაის კვლევის შედეგების სარწმუნოობაზე ისევ გამოითქმის ეჭვები..

— ის მონაცემები, რომლებზეც ვსაუბრობთ, ახლოსაა სინამდვილესთან. თუმცა, ამ ორგანიზაციას არასანდო მონაცემებიც გამოუქვეყნებია. უმუშევრობის პრობლემა კარგად ესმის ხელისუფლებას. მის შესამცირებლად არსებობს პროგრამა, რომელიც ინვესტიციების მოზიდვასაც გულისხმობს.

თავად სახელმწიფო ყველა უმუშევარს ვერ დაასაქმებს. მით უმეტეს, საბიუჯეტო დაწესებულებებში. სახელმწიფო ცდილობს, ხელი შეუწყოს კერძო სექტორის განვითარებას. ამის შედეგად უნდა გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი.

მთლიანად უმუშევრობა არც ერთ სახელმწიფოში არაა დაძლეული. უმუშევრობასთან ბრძოლა განსაკუთრებით ძნელია საქართველოსნაირ განვითარებად ქვეყნებში. შეიძლება წინასაარჩევნოდ ზოგმა გააკეთოს პოპულისტური დაპირებები საყოველთაო დასაქმების შესახებ, მაგრამ ეს იქნება ტყუილი. ყველას დასაქმება შეუძლებელია.

— ამავე გამოკითხვით, ნატოს მომხრეა 68%, ხოლო ევროკავშირის — 77%.

— ეს ციფრებიც არ უნდა იყოს შორს რეალობისგან. ვიზალიბერალიზაციის მოლოდინის, ევროკავშირიდან წამოსული დადებითი მესიჯების გამო, ხალხში გამყარდა ევროატლანტიკური კურსისადმი მხარდაჭერა.

— ამბობენ, რომ რუსულ პროპაგანდას შედეგი აღარ მოაქვს.

— რუსული პროპაგანდა მუდმივად არსებობს. რუსეთს აგიტაცია-პროპაგანდა ახლა არ დაუწყია. სხვა საქმეა, ვისზე როგორ მოქმედებს ეს პროპაგანდა. არა მგონია, ამით ზემოქმედება ხდებოდეს საზოგადოების უდიდეს ნაწილზე.

— თქვენი ოპონენტები თვლიან, რომ ხელისუფლება პრობლემებს ვერ აგვარებს და ხალხის ყურადღების მიპყრობას გამოგონილი თემებით ცდილობს. ასეთ თემად სახელდება ქორწინების განმარტება და ამ საკითხზე რეფერენდუმის მოწყობა.

— ამ საკითხზე შესაძლებელია რეფერენდუმის მოწყობა. საზოგადოებასთან ამ საკითხზე შეხვედრები გრძელდება. ჩვენ ვიცით ხალხის განწყობა. არანაირი გამოგონილი თემა ეს არ არის. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც უკავშირდება ჩვენი ადამიანების მენტალობას და რომელიც თითქმის ყველას აღელვებს.

დიდი შემოტევებია იმ პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებების მომხრეები არიან. ამიტომ, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ხალხის აზრის გამოხატვას.

შეხვედრები ადასტურებს — მოქალაქეებს უნდათ, რომ საქართველოში ქორწინება იყოს ერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. ეს საკითხი ბევრს აწუხებს და ეს პრობლემა ჩვენ არ გამოგვიგონებია.

— დაბოლოს, კონსერვატორები არჩევნებში როგორ მიიღებთ მონაწილეობას?

— ჩვენ ვრჩებით საპარლამენტო უმრავლესობაში. არჩევნებში მონაწილეობის საკითხს მოგვიანებით გადავწყვეტთ. ჩვენ ჩვენი პრინციპების ერთგული ვრჩებით. არ ვაპირებთ, უარი ვთქვათ რეფორმების მხარდაჭერაზე, ასევე ხელისუფლების მიერ არჩეული ძირეული კურსის მომხრეობაზე.

# რატომ დატოვა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ პოსტი



პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის აწ უკვე ყოფილი საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე უნივერსიტეტშია და, როგორც თავად აცხადებს, ლექციებს კითხულობს. რეალურად, მას არც დაკავებული თანამდებობა უშლიდა ხელს ლექციების კითხვაში, მაგრამ, ყველასთვის (თუ ყველასთვის არა, უმრავლესობისთვის მაინც) მოულოდნელად, თანამდებობა საკუთარი სურვილით (ასე ამბობს) დატოვა.

მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ კვერენჩხილაძე თსუ-ს რექტორობისთვის იბრძოლებდა, მაგრამ ეს ვარაუდი ჯერ კულუარულად გაქარწყლდა, შემდეგ კი თავად მდივანყოფილმაც თქვა, რექტორობა არ მინდაო.

კულუარებში კი იმაზე დაიწყეს საუბარი, რომ კვერენჩხილაძეს რეალურად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობა სურს, უფრო სწორად, ასე სურს თავად პრეზიდენტსა და ნაციონალურ მოძრაობას. მოგეხსენებათ, ამჟამინდელ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს ვადა ამოეწურა და მალე ახალი თავმჯდომარე იქნება ასარჩევი. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობა არ აპირებს, ის ბერკეტი გაუშვას ხელიდან, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი ჰქვია.

— ჩემი ნებით წამოვედი. არანაირი პრობლემა არ მქონია ვინმესთან, მით უმეტეს პრეზიდენტთან. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, უბრალოდ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. ასე გადავწყვიტე ამ ეტაპზე. ასე ადვილად არ ვიღლები. ბოლოს და ბოლოს, არავის საქმე არ არის, რატომ წამოვედი. მოარული ხმები არ შეესაბამება რეალობას. ადამიანის ფანტაზიას საზღვარი რომ არ აქვს, ეს ცნობილია, მაგრამ ამგვარი ფანტაზიები ვის და საიდან მოსდის, ჩემთვის უცნობია, — ასეთი რეაქცია ჰქონდა კვერენჩხილაძეს იმ ვერსიაზე, რომ მან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობაზე უნდა განაცხადოს პრეტენზია.

ეს რამდენიმე დღის წინ იყო, თუმცა, როგორც ჩანს, მას აუხსნეს, რომ კატეგორიულად ყველაფრის უარყოფა არ გამოვა და კვერენჩხილაძემაც არაპირდაპირ, მაგრამ დაადასტურა, რომ თანამდებობიდან წასვლის მიზეზი მხოლოდ ლექტორობისთვის მეტი დროის დათმობა არ არის.

— საკონსტიტუციოში ხელმძღვანელებიც და მოსამართლეებიც დღეს არიან, მუშაობენ. სექტემბერში რა მოხდება, ამაზე საუბარი არარეალურია და ნაკლებად სერიოზული. ეს თემა ჩემთვის სრულიად უცხოა, რადგან ამაზე საუბრები არ ყოფილა. მომავალში კი რა იქნება — 6,7,8 თვის მერე, მოვა დრო და გაირკვევა, — აღნიშნა კვერენჩხილაძემ.

# თარხან გასვიანი პროკურატურამ საკუთარ სახლში დაკითხა



პატრიოტთა ალიანსის წევრი თარხან გასვიანი პროკურატურას ჩვენებას რამდენიმე საათის განმავლობაში აძლევდა.

გამოძიების კითხვებს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი მისივე სახლში პასუხობდა. მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობაა, რომელიც, გასვიანის განცხადებით, სამართალდამცველების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად გაუარესდა.

დაკითხვის შემდეგ თარხან გასვიანმა განაცხადა, რომ მან ვაკის რაიონის პოლიციაში მომხდარი ინციდენტის დეტალები მოყვა და პოლიციელები ფიზიკურ ანგარიშსწორებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.

— არ უნდოდა, რომ ეს დაზიანება ვიზუალურად დამტყობოდა, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა ეტყობა, დამარტყა სახეში მთელი ძალით გიორგი გაკაფაშვილმა. ის არის ვაკის პოლიციის უფროსის მოადგილე, ახალგადმოყვანილი. ჩემს ცემაში მონაწილეობდა მანუჩარ შონიაც, — განაცხადა ჟურნალისტებთან თარხან გასვიანმა.

**მედიანიუსი**

# გიორგი ვაშაძე: „ბაღების სააგენტო, როგორც პოლიტიკური იარაღი, საერთოდ უნდა გაუქმდეს“



პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის სხდომა გაიმართა, რომელსაც თბილისის ბაგა-ბაღებიდან გათავისუფლებული დირექტორებიც ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრის დაწყებამდე დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, ბაღების მართვის სააგენტოები ყველა რეგიონში უნდა გაუქმდეს, რადგან პოლიტიკურ იარაღად გამოიყენება.

— ბაღების სააგენტოები, როგორც პოლიტიკური იარაღი, საერთოდ უნდა გაუქმდეს ყველა მუნიციპალიტეტში, რადგან მათ არანაირი კავშირი არ აქვთ ბავშვის აღზრდასთან, მათ აქვთ კავშირი მხოლოდ პოლიტიკური ინტერესების დაცვასთან — ვის დაასაქმებენ, ვის ჩაუწყობენ საქმეს, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

**მედიანიუსი**

# ირანი სოხუმითა და ცხინვალით დაინტერესდა

ირანელი ექსპერტის, თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ბაჰრამ-ამირ აჰმადიანის მიერ გაზეთ „ჰამშარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები. ყურადღება განსაკუთრებით აქვს დათმობილი მთიანი ყარაბაღის მოვლენებს, რომელიც ახლო წარსულში მომხდარი სამხედრო მოქმედებებში გამოიხატა. ავტორი ეხება აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებსაც.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის მიმოხილვას:

„მთიან ყარაბაღში მიმდინარე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან ერთად ყურადღება უნდა მივაქციოთ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა კონფლიქტებსაც — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საერთოდ, როცა ყარაბაღის კონფლიქტზე ვსაუბრობთ, ეს ორიც მხედველობაში უნდა გვქონდეს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ადრე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდნენ და შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 2008 წლის აგვისტოს მოვლენები სამხრეთ ოსეთში იმით დაიწყო, რომ დამოუკიდებლობის მომხრეებს მხარი რუსეთმა დაუჭირა და მათ დასახმარებლად, რომლებსაც საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლა უნდოდათ, მოსკოვმა შეიარაღებული ძალები გაგზავნა.

გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გარკვეული ხნის განმავლობაში, რუსეთის პირდაპირი ყოფნა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკმაოდ შესუსტებული იყო. არადა, ეს რეგიონი კასპიისა და შავ ზღვებს შორის ერთგვარ ბუფერს წარმოადგენს. იქვე ახლოს მდებარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი — ცენტრალური აზია. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით რუსეთისათვის, დასავლეთისთვის კი სამხრეთ კავკასია რუსეთის სამხრეთ ოლქებთან დამაკავშირებელი ტერიტორიაა. ამიტომაც დასავლეთის დაახლოებას ამ რეგიონთან და აქ მდებარე სახელმწიფოების პროდასავლურ ინტეგრირებას მოსკოვი მისკენ მიმართულ საფრთხედ აღიქვამს. შესაბამისად, რუსეთი ყოველთვის მიისწრაფვოდა სამხრეთ კავკასიაში გავლენის გასაფართოებლად, რათა დასავლეთისთვის ხელი შეეშალა და რუსეთის ირგვლივ მტრული სახელმწიფოების სარტყელი არ შექმნილიყო.

ამ დროისათვის რუსეთი მტკიცედაა დამკვიდრებული კავკასიის სამ წერტილში: ერთ-ერთი შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროა — აფხაზეთი, მეორე — კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე მდებარე სამხრეთ ოსეთი და მესამე — ყარაბაღის მთიანი რეგიონი, სადაც ამჟამად რუსეთის მოკავშირე სომხეთი ბატონობს. შესაბამისად, აშკარაა, რომ რუსეთის ყოფნას რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვან სამ წერტილში შეუძლია რუსეთის გავლენა თითქმის ნულამდე დაიყვანოს. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღზე სომხეთის კონტროლი რუსეთის ინტერესებშია. მაგრამ ჩვენ ამავე დროს იმასაც ვხედავთ, რომ ძალების ასეთი ბალანსი რუსეთზეა დამოკიდებული. როგორც უკვე ვთქვით, რუსეთისათვის კავკასიას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსკოვი ყურადღებით აკვირდება აქ მიმდინარე პროცესებს და თუ აზერბაიჯანის პოლიტიკა ნაწილობრივ მაინც შებრუნდება რუსეთთან თანამშრომლობისაკენ, მაშინ რუსეთი აზერბაიჯანის მხარეს დაიკავებს. შესაბამისად, კონფლიქტის ამოიწურება. სტრატეგიული თვალსაზრისით აზერბაიჯანი რუსეთისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სომხეთი.

თვითონ აზერბაიჯანელები და სომხებიც დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გასაღები ვლადიმირ პუტინს ჯიბეში უდევს.

**ნიუსპრესი**

# რას ითხოვს სამართალი?

ნათია ხურცილავა

**34 არასამთავრობო ორგანიზაცია იწყებს ახალ კამპანიას – „სამართალი ითხოვს“. კამპანიის მიზანი სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირებაა.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კამპანიის დაწყების მიზეზებსა და მის მიზნებზე საუბრობს.

## ანა ნაცვლიშვილი: „ახალი კამპანიის ადრესატები პარლამენტი და იუსტიციის სამინისტრო არიან“

***– ანა, რა არის კამპანიის მიზანი?***

– კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ იწყებს კამპანიას „სამართალი ითხოვს“. კოალიციის შექმნის პირველივე დღიდან აქტიურად ვართ სასამართლო სისტემის რეფორმების პროცესში ჩართული. ამ პროცესს გარედან ვაკვირდებოდით და ყოველთვის ჩვენი მოსაზრებები გვქონდა. ვცდილობდით მაქსიმალურად კონსტრუქციულ რეჟიმში მიგვეწოდებინა რეკომენდაციები სასამართლოს რეფორმის ტალღებთან დაკავშირებით, მაგრამ ის მოვლენები, რომლებიც 2014 წლიდან განვითარდა, იყო ნიშანი, რომ საჭირო იყო მსგავსი კამპანიის დაწყება.

განსაკუთრებით ეს მოთხოვნილება გააჩინა სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის შეფერხებამ და კითხვის ნიშნების გაჩენამ სასამართლო კორპუსსა და აღმასრულებელ პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის გარიგებების თაობაზე. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ აუცილებელია კამპანიური ხასიათის მოქმედება და საკმარისი არ არის იმ ტიპის აქტივობები, რასაც აქამდე ვაკეთებდით. ჩვენ ვეცდებით, რომ სასამართლოს თემას მძლავრი ხილვადობა მივცეთ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

***– კამპანიას თუ ჰყავს კონკრეტული ადრესატი?***

– რა თქმა უნდა, ჰყავს და ესენი არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები – პარლამენტი და იუსტიციის სამინისტრო.

***– თქვენ ალბათ იცით იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძის პოზიცია ამ კამპანიასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ადრესატები არც საკანონმდებლო ორგანოა და არც – იუსტიციის სამინისტრო.***

– და მაშინ ვინ არის?

***– კითხვას უბრუნებთ?***

– დიახ. სწორი არ არის, რაც ბატონმა ბარამიძემ განაცხადა. სამწუხაროდ, შეიქმნა ვითარება, როდესაც სამი მნიშვნელოვანი აქტორია ამ კრიზისზე პასუხისმგებელი და ყველა ერთმანეთს აბრალებს.

***– ბატონი ბარამიძე აქცენტს იუსტიციის საბჭოზე აკეთებდა.***

– იუსტიციის საბჭო ასე უარგუმენტოდ და გაუმჭვირვალედ იმიტომ იქცევა და ხშირად ბოროტად იმიტომ იყენებს ძალაუფლებას, რომ კანონმა მას ეს შეზღუდვები არ დაუწესა. კანონის ცვლილებაზე პასუხისმგებელი არის პარლამენტი, სასამართლო სისტემის რეფორმაზე პასუხისმგებელი უწყება კი – იუსტიციის სამინისტრო.

იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოამზადოს რეფორმის პაკეტი და პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ადრესატები არიან იუსტიციის სამინისტრო და პარლამენტი, რომელთა უმოქმედობამაც ხელი შეუწყო საბჭოში იმ მოვლენების განვითარებას, რაც ვიხილეთ.



იუსტიციის სამინისტრომ უნდა მოამზადოს რეფორმის პაკეტი და პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ადრესატები არიან იუსტიციის სამინისტრო და პარლამენტი, რომელთა უმოქმედობამაც ხელი შეუწყო საბჭოში იმ მოვლენების განვითარებას, რაც ვიხილეთ

ეს იუსტიციის საბჭოს თავისი წილი პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს, მაგრამ არც საბჭოს ეს მოქმედებები ათავისუფლებს იუსტიციის სამინისტროს და პარლამენტს უპასუხისმგებლობისგან.

ჩვენი პრეტენზიები იუსტიციის საბჭოსთვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ საბჭოს მხრიდან არის დახურულობა, მათ ურჩევნიათ, რომ არასამთავრობო სექტორში კონსპირაციების თეორიები ეძებონ, ვიდრე დაფიქრდნენ, სისტემის შიგნით რა არასწორი პროცესები მიმდინარეობს და საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედონ.

***– სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის დროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან თუ გქონდათ კონსულტაციები და მისი პოზიცია როგორი იყო?***

– გარკვეული კომუნიკაციები გვქონდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან არჩევის პირველივე დღიდან. როდესაც დიდი ფორუმი გავმართეთ, მოსულები იყვნენ სანდრო ბარამიძე, ვახტანგ ხმალაძე, საბჭოს წევრები. ის პრეტენზიები, რომლებიც არასამთავრობო სექტორს აქვს სასამართლოს რეფორმასთან, მათთვის კარგად არის ცნობილი. მათ კარგად იციან, რაც გვაწუხებს და რატომაც გვაწუხებს. გვაწუხებს არა იმიტომ, რომ ეს ჩვენი ახირებაა, არამედ იმიტომ, რომ ვხედავთ, რომ რეალური საფრთხე ექმნება ამ პირობებში ამ ქვეყნის მოქალაქეების სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ კამპანიაში მოქალაქეები იყვნენ აქტიურად ჩართული.

***– რა ფორმით?***

– არ გამოვრიცხავთ აქციებს. კამპანიამ „ეს შენ გეხება“ საკმაოდ წარმატებული აქცია ჩაატარა თავის დროზე, სადაც ადამიანებმა თავიანთი პროტესტი დააფიქსირეს.

***– საზოგადოებამ იცის, კამპანია „ეს შენ გეხება“ რატომაც განახლდა, მისი ინსპირატორი იყო უკანონო ფარული ჩანაწერების სოციალურ ქსელში გავრცელება. შეგიძლიათ ასეთი კონკრეტული მაგალითი გვითხრათ, რაც ახალი კამპანიის მიზეზი გახდა?***

– დიახ, შემიძლია და ასეთი კონკრეტული მაგალითი იყო 2015 წლის დეკემბერში, როდესაც დაინიშნენ ის მოსამართლეები, რომელთა კეთილსინდისიერებასთან, პროფესიონალიზმთან და სამართლიანობის შეგრძნებასთან სერიოზული კითხვის ნიშნები აქვს საზოგადოებას. კონკრეტულ საქმეებზე მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საზოგადოებაში არ ტოვებს განცდას, რომ ეს ადამიანები კვლავ არ მოემსახურებიან პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ადამიანის უფლებების სადარაჯოზე იქნებიან.

***– კონკრეტული სახელი არის ლევან მურუსიძე?***

– მურუსიძე არის პრობლემის ილუსტრირება, კარგი მაგალითი, რომელიც არაიურისტ ადამიანს კარგად აჩვენებს, რა პრობლემებია სასამართლო სისტემაში. მურუსიძე არ არის ამ პრობლემის არც დასაწყისი და – ბოლო. პრობლემა გაცილებით ღრმა და მრავალსახოვანია და ამიტომ მის გადაჭრას კომპლექსური მიდგომა სჭირდება.

# რატომ ითხოვდა კაჩინსკი იმ პილოტის გასამართლებას, რომელმაც მისი თვითმფრინავი თბილისში დასვა

ამერიკული გამოცემა „Foreign Policy“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულ-გაანალიზებულია პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის პოლიტიკური მოღვაწეობის ასპექტები მისი დაღუპვის მორიგ წლისთავთან დაკავშირებით (ავტორი – ქრისტიან დევისი).

როგორც ცნობილია, 2010 წლის 10 აპრილს ლეხ კაჩინსკი ავიაკატასტროფაში დაიღუპა რუსეთის ქალაქ სმოლენსკის აეროდრომზე დაშვების დროს.

პუბლიკაციაში ავტორი ეხება ლეხ კაჩინსკის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს, კერძოდ, საქართველოსადმი დამოკიდებულებას, მის ვიზიტს თბილისში და ამ ფონზე მკითხველს პოლონეთის პრეზიდენტის პორტრეტს, მის ჯიუტ ხასიათს აჩვენებს. გარდა ამისა, სტატიაში გადმოცემულია დღევანდელ პოლონეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ლეხ კაჩინსკის მემკვიდრეობისა და როლის გათვალისწინებით.



„2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს გაგანია ომის დროს, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ლიდერების დელეგაციას, რათა თბილისში ჩამოსულიყო საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად.

თავდაპირველად დელეგაცია აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში უნდა ჩაფრენილიყო, იქიდან კი თბილისში ავტომანქანებით გაემგზავრებოდა, მაგრამ როცა დელეგატები ყირიმში გაჩერდნენ, სადაც მათ ლატვიის პრემიერ-მინისტრი და უკრაინის პრეზიდენტი ელოდებოდათ, ლეხ კაჩინსკიმ მოულოდნელად გამოაცხადა, გეგმები იცვლება და თვითმფრინავი პირდაპირ თბილისში დაეშვებაო. ავიალაინერის პილოტმა უარი განაცხადა, პრეზიდენტის ნებას დამორჩილებოდა: მან ლეხ კაჩინსკის აუხსნა, რომ იმ რთულ მომენტში და ისეთ მოკლე დროში შეუძლებელი იყო საომარი მოქმედების ზონაში უსაფრთხო ფრენის გარანტიის მიღება და აქედან გამომდინარე, რადგან იგი ვერ შეძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას, ანუ მგზავრებისათვის უსაფრთხო ფრენის უზრუნველყოფას, იგი უარს აცხადებს პრეზიდენტის ბრძანების რეალიზებაზე.

პოლონურ გაზეთ „დზენნიკს“ თუ ვენდობით, ლეხ კაჩინსკი დაბეჯითებით მოითხოვდა ბრძანების შესრულებას და პილოტს ეუბნებოდა: „მე სახელმწიფოს მეთაური ვარ და ჩემს ნებას პატივი უნდა სცეთ... რადგანაც თქვენ პილოტი ბრძანდებით, არ გაქვთ შიშის უფლება... ჩვენ ამ ფაქტს აუცილებლად დავუბრუნდებით, უკან რომ წამოვალთ“. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ „კანონიერებისა და სამართლიანობის პარტიის“ ლიდერმა, პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ მფრინავის გასამართლება მოითხოვა „ფრენის დროს გამოჩენილი სიმხდალის გამო“.

სხვადასხვა ადამიანებმა სხვადასხვანაირად დაიმახსოვრეს ლეხ კაჩინსკის თბილისური ვიზიტი: მისმა გამოჩენამ საქართველოს დედაქალაქში და მწვავე განცხადებამ, რომ პოლონეთი მზად არის საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში დაეხმაროსო, ლეხ კაჩინსკი საქართველოს ეროვნულ გმირად აქცია და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში პოპულარობა მოუტანა. მაგრამ დღეს პოლონელებს ასევე ძალიან კარგად ახსოვთ იმ ავიაეკიპაჟის ბედი, რომელმაც პრეზიდენტი თბილისში ჩაიყვანა: ხომალდის მეთაური, რომელსაც ლეხ კაჩინსკიმ სიმხდალე დააბრალა, სამსახურიდან გაათავისუფლეს და იგი დეპრესიაში ჩავარდა; მეორე პილოტი და შტურმანი კი ორი წლის შემდეგ სმოლენსკის აეროპორტის ახლოს მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ, პრეზიდენტთან ერთად... სქელ ნისლში დაშვების დროს.

დღეს პოლონეთის მმართველი ძალა ისევ „კანონისა და სამართლიანობის პარტიაა“, რომელსაც ლეხ კაჩინსკის ტყუპი ძმა იაროსლავ კაჩინსკი ხელმძღვანელობს, იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. რასაკვირველია, პარტია მიიჩნევს, რომ ლეხ კაჩინსკი არამარტო პოლონეთის უდიდესი პრეზიდენტი იყო, არამედ განუზომელი მასშტაბის მქონე ისტორიული ფიგურა და, შესაბამისად, მისი სიკვდილი შემთხვევითი არ ყოფილა. პარტიის ლიდერების განცხადებით, სმოლენსკში მომხდარი ტრაგედიის მიზანს პოლონეთის ხელმძღვანელობის ლიკვიდაცია, პოლონეთის დამოუკიდებლობის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# 10 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის ბრალდებულს 23 წლით პატიმრობა მიესაჯა



ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პ.ფ. 10 წლის გოგონას გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ჩადენისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის დამნაშავედ ცნო.

მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 381-ე მუხლის პირველი ნაწილით პ. ფ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 23 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პროკურატურის ინფორმაციით, პ.ფ.-ს ბრალდების საქმეზე ჩატარდა სასამართლოს 16 სხდომა, დაიკითხა ბრალდების მხარის 30 მოწმე. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2015 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 00:30 საათზე, ზესტაფონის რაიონში პ.ფ.-მ ძალადობით, ძალადობის გამოყენების მუქარითა და უმწეო მდგომარეობის გამოყენებით გააუპატიურა 10 წლის გოგონა, ხოლო შემდეგ მცირეწლოვანთან დაამყარა გაუკუღმართებული სქესობრივი კონტაქტი. სამართალდამცველებმა პ.ფ. 2015 წლის 4 ივნისს გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ პ.ფ. წარსულში ნარკოტიკული დანაშაულისთვის იყო მსჯავრდებული და სასამართლოს განაჩენით მას ჩამორთმეული ჰქონდა ავტოტრანსპორტის საშუალების მართვის უფლება. მიუხედავად ამისა, იგი არ ემორჩილებოდა დაკისრებულ აკრძალვას და ავტომობილს მართავდა. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ პ.ფ. დამნაშავედ ცნო: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით, სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით, სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი შეკრების წესის გამოყენებით, პ.ფ.-საბოლოოდ განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნიუსპრესი

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „Freedom House“: „ქართული ოცნების“ მთავრობამ ბოლო წლის განმავლობაში დემოკრატიული ინსტიტუტები გააძლიერა“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, „Freedom House“-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოს ხელისუფლებისთვის მოტივაცია უნდა გახდეს.

სესიაშვილმა განაცხადა, რომ „Freedom House“-ის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხი უარესდება, თუმცა საქართველოში უმჯობესდება, რაც, მისი შეფასებით, ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

– კვლევას არ უნდა დავაკვირდეთ მხოლოდ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით და აუცილებლად უნდა დავინახოთ თავისი მასშტაბით. თუ დავაკვირდებით ამ კვლევას, ვნახავთ, რომ უმეტეს ქვეყნებში დემოკრატიის ხარისხი გაუარესდა. რამდენიმე ქვეყანაა გამონაკლისი, სადაც დემოკრატიის ხარისხი გაუმჯობესდა და მათ შორისაა საქართველო.

ძირითადი გაუმჯობესება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას ეხება და ეს რეალურად არის ის ძირითადი კომპონენტი, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიის საფუძვლებს განსაზღვრავს. ამიტომ ამ ნაწილში შესაბამისი მაჩვენებლის გაუმჯობესება ძალიან ბევრს ნიშნავს, – აღნიშნა სესიაშვილმა.

„Freedom House“ დემოკრატიის დონის გაუმჯობესების ერთ-ერთ ფაქტორად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დონის გაზრდას ასახელებს. სისტემის დამოუკიდებლობის კუთხით, შარშანდელთან შედარებით, მაჩვენებელი 5.00 პუნქტიდან 4.75 პუნქტამდე გაუმჯობესდა.

* * *

Freedom house-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, რომელიც მოიცავს ცენტრალურ ევროპას, აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეს, მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხი გაუარესდა.

მიუხედავად ამისა, კვლევის მიხედვით საქართველომ დემოკრატიის ზოგადი მაჩვენებელი გაიუმჯობესა. კვლევაში ხაზგასმულია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება. Freedom house აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა (გახმაურებული საქმეები), სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი საქართველოში დღითი დღე უმჯობესდება.

საქართველომ საერთო რეიტინგში, 2012 წელთან შედარებით, პოზიცია 0.21 ქულით გაიუმჯობესა და 7 ქულიან შკალაში (სადაც 7 ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელია, ხოლო 1 – ყველაზე პოზიტიური) 4.82. ქულიდან 4.61 ქულაზე ჩამოიწია.







საქართველო რეიტინგებში უსწრებს როგორც რეგიონის, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და დემოკრატიის თვალსაზრისით ამ სივრცეში მოწინავე ადგილი უკავია.

საქართველოში დემოკრატიის დონე შარშანდელთან შედარებით 4,64 პუნქტიდან 4,61 პუნქტამდე გაუმჯობესდა. ამის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დონის გაზრდაა. ამის შესახებ საუბარია Freedom House-ის ანგარიშში სახელწოდებით „ქვეყნები გარდამავალ პერიოდში 2016“.

საქართველოში არსებული მმართველობა შეფასებულია, როგორც „გარდამავალი ხელისუფლება ან ჰიბრიდული რეჟიმი“.

ცვლილება მოხდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის კუთხით და აქ, შარშანდელთან შედარებით მაჩვენებელი 5.00 პუნქტიდან 4.75 პუნქტამდე გაუმჯობესდა.

12 აპრილს „ფრიდომ ჰაუსმა“ გამოაქვეყნა ანგარიში „სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში“, რომელიც ასახავს დემოკრატიის განვითარებას ყოფილი საბჭოთა კავშირის, ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის 29 ქვეყანაში 2015 წელს. დემოკრატიის განვითარების შეფასების ცხრილში პირველ ხუთეულში არიან: ესტონეთი, სლოვენია, ლატვია, ჩეხეთის რესპუბლიკა და ლიტვა.

საქართველოს საშუალო მაჩვენებლით – 4,61 ქულით მე-17 ადგილზეა. საქართველოს ქულა შარშანდელთან შედარებით 0,03 ქულით გაუმჯობესდა.

ცხრილში ქვეყნები შეფასებულია რამდენიმე კატეგორიაში და გამოყვანილია დემოკრატიის განვითარების საშუალო მაჩვენებელი. 1-დან 7-მდეა ქულების შკალა. საუკეთესო შეფასებაა 1 და ყველაზე ცუდი – 7. სხვადასხვა კრიტერიუმის შეფასების საშუალო არითმეტიკული არის სწორედ ქვეყნის დემოკრატიის ქულა.

ანგარიშის მიმოხილვით ნაწილში საქართველოს შესახებ წაიკითხავთ: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადგილი აქვს გახმაურებული საქმეების პოლიტიზაციას, სასამართლო სისტემის ხარისხი დღითი დღე უმჯობესდებოდა, რაც იყო იმის დადებითი ნიშანი, რომ პოლარიზებულ სისტემაშიც კი სტრუქტურულ რეფორმას შეიძლება ჰქონდეს ეფექტი.

2015 წელი საქართველოში სტაბილურობის წელი იყო. ამ დასკვნას საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია Freedom House საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებისას აქვეყნებს.

„გასულ წელს შეინიშნებოდა პოლიტიკური პლურალიზმის დონის ამაღლება. ამაღლდა სასამართლოს სტრუქტურული დამოუკიდებლობის დონე“, – წერს Freedom House.

ორგანიზაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მთლიანობაში ქართული მედია მაყურებელსა და მკითხველს განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციებსა და პლურალიზმს სთავაზობდა.

Freedom house-ი ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული კითხვის ნიშნებისა („რუსთავი 2“-ის სასამართლო საქმე, ჟურნალისტების წასვლა ტელევიზიებიდან), მედიის თავისუფლების თვალსაზრისით უკანასკნელ წლებში საქართველოს მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს.

Freedom house-ის კვლევების მიხედვით, 2012 წლიდან მოყოლებული საქართველომ თითქმის ყველა მაჩვენებელი გააუმჯობესა მედიის თავისუფლების, კორუფციასთან ბრძოლის, სამართლიანი არჩევნების, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის, სასამართლოს დამოუკიდებლობის და ზოგადად დემოკრატიის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. საქართველომ საერთო რეიტინგში 2012 წელთან შედარებით პოზიცია 0.21 ქულით გაიუმჯობესა და 7 ქულიან შკალაში (სადაც 7 ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელია, ხოლო 1 ყველაზე პოზიტიური) 4.82. ქულიდან 4.61 ქულაზე ჩამოიწია.

საქართველო რეიტინგებში უსწრებს როგორც რეგიონის, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და დემოკრატიის თვალსაზრისით ამ სივრცეში მოწინავე ადგილი უკავია.

„2015 წელი სტაბილურობის წელი იყო. დაპირისპირება „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციურ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის“ საკმაოდ დაბალ ნიშნულზე იყო, რაც ამ წლის განმავლობაში საარჩევნო პროცესების არარსებობით შეიძლება აიხსნას“, – წერს Freedom House.

არსებული ნიშნების უმეტესობა იმის მანიშნებელია, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ ბოლო წლის განმავლობაში გააძლიერა დემოკრატიული ინსტიტუტები“, – აღნიშნულია Freedom House-ის დოკუმენტში.

Freedom house-ი ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული კითხვის ნიშნებისა („რუსთავი 2“-ის სასამართლო საქმე, ჟურნალისტების წასვლა ტელევიზიებიდან), მედიის თავისუფლების თვალსაზრისით უკანასკნელ წლებში საქართველოს მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს.

საქართველო რეიტინგებში უსწრებს როგორც რეგიონის, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და დემოკრატიის თვალსაზრისით ამ სივრცეში მოწინავე ადგილი უკავია.

Freedom House-ის დასკვნაში 2016 წლის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებზეც არის საუბარი, რომელთა შორის შემოდგომის საპარლამენტო არჩევნები გამოირჩევა.

„მომავალი პერიოდი უდავოდ იქნება პოლიტიკური აქტივობის ზრდის პერიოდი. საარჩევნო კონკურენცია გაიმართება „ქართულ ოცნებასა“ და ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურ ძალებს შორის. ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს „ქართულ ოცნებას“. ასევე ამომრჩეველთა ხმების მიღების შანსი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. რაც შეეხება საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას, მასაც არჩევნებში წარმატების შესაძლებლობა აქვს. ამ პარტიებს, რომელთა შორის პრორუსული, ანტიდასავლური პარტიებიც არიან, აქვს საქართველოს პარლამენტის პოლიტიკაზე გარკვეული გავლენის მოხდენის პოტენციალი. თუმცა ისინი ვერ მოიპოვებენ ხმებს, რომ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ“, – წერს Freedom House.

2014 წელს ამავე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ პრესის თავისუფლების რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა 3 პუნქტით გაუმჯობესდა და 93-ე ადგილი დაიკავა 197 ქვეყანას შორის.

* * *

Freedom House-ის 2014 წელს გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება შეინიშნება.

Freedom House-მა განაცხადა, რომ საქართველო „ერთ-ერთი ნათელი წერტილი“ იყო ევრაზიაში 2013 წელს. ევრაზიის რეგიონში ორგანიზაცია აერთიანებს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, გარდა ბალტიისპირეთისა. ორგანიზაციამ ასევე აღნიშნა, რომ „თავისუფალი და სამართლიანი“ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა „ღია და ნაკლებად პოლარიზებულ საარჩევნო კამპანიის გარემოში“.

არსებული ნიშნების უმეტესობა იმის მანიშნებელია, რომ ქართული ოცნების მთავრობამ ბოლო წლის მანძილზე გააძლიერა დემოკრატიული ინსტიტუტები“, – აღნიშნულია Freedom House-ის დოკუმენტში.

გასული წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნდა Freedom House-ის ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ინტერნეტის თავისუფლების შესახებ. თითოეული ქვეყნის შეფასება მოიცავდა სამ კატეგორიაზე დაყრდნობილ (ხელმისაწვდომობის დაბრკოლებები, კონტენტის შეზღუდვა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევა) დეტალურ ნარატიულ ანგარიშსა და ქულებს. 2015 წლის ანგარიში აფასებს 2014 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე პერიოდს. გამოქვეყნებული მაჩვენებლების მიხედვით, საქართველომ 100 ქულიდან 24 აიღო და ინტერნეტ თავისუფლების კუთხით შეფასდა, როგორც „თავისუფალი“ ქვეყანა. 2014 წელთან შედარებითი მისი მაჩვენებელი 2 ქულით გაუმჯობესდა.

# რატომ ითხოვდა კაჩინსკი იმ პილოტის გასამართლებას, რომელმაც მისი თვითმფრინავი თბილისში დასვა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მოსპობა წარმოადგენდა“. მოწინააღმდეგეები კი მიიჩნევენ, რომ ლეხ კაჩინსკის აგრესიული პატრიოტიზმი სულელური და არაპროდუქტიული იყო, ხოლო მის ჯიუტობას პოლონეთისთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიაო. მოკლედ, საზოგადოება ორადაა გაყოფილი, – აღნიშნულია სტატიაში.

პუბლიკაციაში ავტორი წერს, რომ ლეხ კაჩინსკის პრეზიდენტობის დროს პოლონეთის პრემიერ-მინისტრი იყო დონალდ ტუსკი, რომელიც ცდილობდა პრეზიდენტის ანტირუსული პოლიტიკა ერთგვარად გაენეიტრალებინა. დონალდ ტუსკს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მაშინდელ პრემიერ ვლადიმირ პუტინთან და ამით მკვეთრად განსხვავდებოდა ლეხ კაჩინსკისაგან, რომელსაც დაძაბული დამოკიდებულება ჰქონდა თავის რუს კოლეგასთან – მაშინდელ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან. 2009 წელს ვლადიმირ პუტინმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და დონალდ ტუსკთან ერთად კატინის მსხვერპლი პოლონელი ოფიცრების ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ისტორიულ ცერემონიას დაესწრო, რაც მანამდე არცერთ რუს ლიდერს არ გაუკეთებია. ამით რუსეთმა ფაქტიურად თავისი დანაშაული აღიარა პოლონეთის წინაშე. ცერემონიაზე პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი არ მიიწვიეს. პუტინმა და ტუსკმა ჩათვალეს, რომ პრეზიდენტის აგრესიულობა სიტუაციას გააუარესებდა. განაწყენებულმა ლეხ კაჩინსკიმ, რომელსაც დონალდ ტუსკის პოლიტიკა არ მოსწონდა, სასწრაფოდ შეადგინა ახალი დელეგაცია მინისტრების შემადგენლობით და კატინისაკენ გაფრინდა იმავე თვითმფრინავით, რომლითაც სამი დღით ადრე დონალდ ტუსკმა იმგზავრა. სამწუხაროდ, დელეგაცია დანიშნულების ადგილზე ვერ ჩავიდა...

ლეხ კაჩინსკის მომხრეები ირწმუნებიან, რომ ვლადიმირ პუტინი და დონალდ ტუსკი პოლონელი ხალხის ზურგს უკან ერთმანეთს გაურიგდნენ. ისინი ამტკიცებენ, რომ პოლონეთის შემრიგებლური პოლიტიკა რუსეთის მიმართ ეროვნული სირცხვილია, სიმხდალისა და არაპატრიოტობის ტოლფასი მოქმედებაა. სწორედ ლეხ კაჩინსკი იყო პოლონეთის სიამაყის სიმბოლო, უდრეკი ხელმძღვანელი... იგი იმდენად საშიში იყო პუტინისა და ტუსკისათვის, რომ მათი განადგურება გადაწყვიტესო. კრიტიკოსების აზრით კი, ყველაფერს პროზაული ახსნა აქვს: 2010 წლის შემოდგომაზე პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გამართულიყო, ამ დროს კი ლეხ კაჩინსკის საქმეები მაინცდამაინც კარგად არ მიდიოდა. იგი მარგინალურ ფიგურად იქცა როგორც პოლონეთში, ასევე საერთაშორისო არენაზეც. იგი იმუქრებოდა, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებებს დაბლოკავდა. პრეზიდენტის ავტორიტეტი ეცემოდა. მისმა ანტირუსულმა პოლიტიკამ პოლონეთს რიგი მეზობელი ქვეყნები აუმხედრა, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდათ.

საპრეზიდენტო არჩევნებში ლეხ კაჩინსკის გამარჯვება საეჭვო ხდებოდა. ჰოდა, პრეზიდენტმა განიზრახა თავისი კატეგორიული ნება ეჩვენებინა... როცა რუსეთიდან ცნობა მიიღეს, რომ სმოლენსკის აეროპორტში სქელი ნისლია, დაშვება შეუძლებელიაო, ეს ლეხ კაჩინსკიმ აღიქვა არა კეთილ გაფრთხილებად, არამედ მოსკოვის მხრიდან პოლონეთის პრეზიდენტის დამცირებად. საბორტო „შავი ყუთების“ ჩანაწერები ცხადყოფს, რომ დელეგაციის წევრი მაღალჩინოსნები კაბინაში შედიოდნენ და ეკიპაჟისაგან სმოლენსკში დაშვებას ითხოვდნენ. გავიხსენოთ: პრეზიდენტი ადრეც ითხოვდა მფრინავებისაგან, რომ ავიალაინერი საფრთხის შემცველ პირობებში დაშვებულიყო. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ სრულ სიმართლეს, იყო თუ არა პრეზიდენტის ან რომელიმე ჩინოვნიკის ეკიპაჟზე ზეწოლა ავიაკატასტროფის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ „პუტინ-ტუსკის გარიგება“ აქ შუაში არ არის.

„საბოლოო ჯამში, ის სამწუხარო მოვლენა, რომელსაც შეეძლო, პოლონეთის საზოგადოება გაეერთიანებინა, დღეს უფრო მეტად ხელს უწყობს განხეთქილებას და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებას წამლავს“, – ასკვნის ავტორი.

**ნიუსპრესი**

# ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორებმა შიმშილობა დაიწყეს



ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორებმა შიმშილობა დაიწყეს. პროფესორ- მასწავლებლები რექტორის გადადგომას ითხოვენ.

მათი თქმით, აკადემიურმა საბჭომ მესამე ვადით არჩილ ფრანგიშვილი უკანონოდ აირჩია. პროფესორ-მასწავლებელთა მტკიცებით, ფრანგიშვილს განათლების მინისტრი მფარველობს.

– ვაპროტესტებთ უკანონობას, რომელიც სუფევს ტექნიკურ უნივერსიტეტში. არჩევით ორგანოებში, დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ერთი და იგივე პიროვნების ზედიზედ სამი ვადით არჩევა არ შეიძლება. ეს კანონი ჩვენთან უხეშად დაირღვა. მესამე ვადით არის არჩეული რექტორი, მესამე ვადით არის არჩეული კანცლერი, მესამე ვადით არის არჩეული აკადემიური საბჭოს 5 წევრი, – განაცხადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ზაალ მიქაძემ.

**პირველი რადიო**

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთი ყარაბაღის კონფლიქტს მომზადებული შეხვდა“

გულიკო ბალაძე

კავკასიაში ვითარება იძაბება. ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ კავკასიაში ვითარების გამწვავებასთან ერთად, რუსეთმა ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის, ცხინვალის რეგიონის ყირიმიზაციის პროცესი დააჩქარა.

***– ბატონო ვახტანგ, ყარაბაღში ორი დიდი ქვეყნის, რუსეთისა და თურქეთის ინტერესები იკვეთება. რუსეთი ცდილობს შუამავლის როლში გამოჩნდეს, თურქეთი კი ღიად უჭერს მხარს აზერბაიჯანს. ამჟამად თითქოს ვითარება ჩაწყნარდა. თქვენ ყარაბაღსა და ზოგადად კავკასიაში მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?***

– ყარაბაღში სიტუაცია ახლა ცოტა ჩაწყნარდა, მყიფე მშვიდობას მიაღწიეს, მაგრამ ეს მშვიდობა როდის გაქრება, არავინ იცის. სიტუაცია საკმაოდ რთულია.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომხური მხარე პანიკაშია, რადგან შესაძლებელია რუსეთმა აზერბაიჯანს იარაღი გადასცეს. ეს ფეთქებადსაშიშ ვითარებას არ ქმნის?***

– აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის იარაღის გადაცემაზე კონტრაქტი ადრე იყო გაფორმებული. რუსული მხარე იძულებულია, შეასრულოს კონტრაქტის პირობები, მის რეპუტაციას ჩირქი რომ არ მოეცხოს. 2015 წელს რუსეთმა თავისი შეიარაღების გაყიდვით დაახლოებით 56 მილიარდი დოლარი მიიღო. სოლიდური შემოსავალია. ამიტომ რუსეთი არ გაწყვეტს კონტრაქტს აზერბაიჯანთან. ამის შესახებ განაცხადა დიმიტრი როგოზინმა (რომელიც არის ვიცე-პრემიერი და კურირებს რუსეთის სამხედრო-სავაჭრო კომპლექს).

აზერბაიჯანი მიიღებს იმ შეიარაღებას, რაც მან შეიძინა რუსეთისგან. ეს შეცვლის სიტუაციას რეგიონში. აზერბაიჯანმა სომხეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ უკვე გამოიყენა ისეთი ტიპის შეიარაღება, როგორიც არის ბურატინოს ტიპის ზალპური საარტილერიო ცეცხლური სისტემები. პირველად მოხდა ასეთი მსხვილი შეიარაღების გამოყენება კონფლიქტურ კერებში კავკასიაში.

ბურატინოს სისტემა მძლავრი შეიარაღებაა. სომხეთსაც გააჩნია ამგვარი ტიპის შეიარაღების ნიმუშები, მაგრამ არა მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულ ძალებს, არამედ სომხეთის შეიარაღებულ ძალებს. აზერბაიჯანმა კი უკვე გამოიყენა მთიანი ყარაბაღის წინააღმდეგ.

***– ეს რას ნიშნავს და რას მოასწავებს?***

– თუ სიტუაცია კვლავ გართულდა, აზერბაიჯანი შეიძლება ბოლომდე წავიდეს. შესაბამისად, პირველ ეტაპზე მოახდინოს იმ ტერიტორიების ოკუპაცია, რომელიც მთიან ყარაბაღს გარშემო არტყია.

თავის დროზე სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს არა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის მოგლეჯა აზერბაიჯანის პოლიტიკური სივრციდან, არამედ სხვა ტერიტორიებიც მიაყოლეს. დაახლოებით 7 რაიონია, რომელიც წარმოადგენს უსაფრთხოების დერეფანს. როგორც ჩანს, თავიდანვე გათვალეს, რომ თუ აზერბაიჯანი მოინდომებს მთიანი ყარაბაღის დაბრუნებას შეიარაღებული გზით, დაცული იყოს ამ ტერიტორიების მეშვეობით.

ამიტომ დღეს ბრძოლები მიმდინარეობს არა უშუალოდ მთიანი ყარაბაღის გათავისუფლების მიზნით, არამედ ოკუპირებული შიდა ტერიტორიების დეოკუპაციისთვის. თუ აზერბაიჯანმა მიაღწია ამას, ეს იქნება დიდი პოლიტიკური წარმატება და გარღვევა მისთვის.

***– როდესაც ჩვენ ვწერდით ინტერვიუებს რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებასა და სირიის ომზე, თქვენ თქვით, რომ მოსალოდნელი იყო კავკასიაში ვითარების გართულება და ომი.***

– დიახ, ახლახან სტავროპოლზე მოხდა თავდასხმა – სამმა შაჰიდმა თავი აიფეთქა სტავროპოლის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის წინ. ასევე თავდასხმა მოხდა დაღესტანში და პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახალიფომ.

***– მთიან ყარაბაღს არ გულისხმობდით?***

– ბუნებრივია, ამგვარ გამოწვევებში ყარაბაღსაც ვგულისხმობდი, რომ ყარაბაღშიც შეიძლებოდა დაწყებულიყო კონფლიქტის გაღღობა.




**„ცხინვალის რეგიონში ყირიმიზაციის პროცესის დაწყება საეჭვოდ ემთხვევა საქართველოში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს“**

***– ანუ კავკასიაში ვითარების გართულებაში მცირე ომებიც იგულისხმებოდა.***

– რა თქმა უნდა, ზოგადად, ვგულისხმობდი, რომ კავკასიის უსაფრთხოების პირობები შეიძლება ყოფილიყო მყიფე, ანუ მოწყვლადი.

***– ისლამური სახელმწიფო რაიმე კავშირშია მთიან ყარაბაღში ვითარების გამწვავებასთან?***

– არა მგონია.

***– რამ უბიძგა ყარაბაღის ომის მხარეებს, სირიის ომისა და რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე, ბრძოლები განეახლებინათ? დიდ სახელმწიფოებს არ ეცალათ და ამიტომ დაიწყო ომი ყარაბაღში?***

– რთულია იმის თქმა, მათ რა ამოძრავებდათ. ომი ვინ განაახლა, ამას ჩვენ ვერ გავიგებთ.

***– რუსეთის კვალი არ ჩანს? რუსეთს არ აწყობდა ამ ომის განახლება?***

– რუსული კვალიც შეიძლება იყოს. რუსეთი თითქოს მომზადებული შეხვდა ყარაბაღის კონფლიქტურ პროცესებს. მან აიღო ინიციატივა, ამ კონფლიქტში მომრიგებელი ყოფილიყო. არ გამოვრიცხავ, რომ თურქეთისა და რუსეთის გარკვეული ზეწოლის შედეგად მოხდა კონფლიქტის ესკალაცია.

***– საყვედურის ტონით ამბობდნენ, რომ ამერიკას, საერთოდ, არ აინტერესებს, რა ხდება ყარაბაღში. ეს შეიძლება დავიჯეროთ?***

– ამერიკელების როლი საკმაოდ პასიურია. ზოგადი ტიპის ფრაზებით შემოიფარგლნენ. ამერიკა და ევროკავშირი მოუმზადებელი შეხვდნენ ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციას. ამიტომ რუსეთმა თავის თავზე აიღო ინიციატივა.

***– რუსეთს ეს კონფლიქტი სჭირდებოდა პოლიტიკური მიზნებისთვის?***

– ბუნებრივია, სჭირდებოდა. არ გამოვრიცხავ, ამაში რუსეთის ხელიც ერიოს. წარმატებული სირიული კამპანიის შემდეგ, რასაც მისი გავლენის სფეროების გაზრდა მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში, რუსეთს სჭირდებოდა თავისი ძალის დემონსტრირება კავკასიის რეგიონში, რაც ამ ეტაპზე ნაწილობრივ გამოუვიდა. რუსეთმა აჩვენა თავისი ძალა, თითქოს მას შესწევს ამგვარი კონფლიქტების შეჩერება.

ეს შეიძლება იყოს მესიჯი აზერბაიჯანის მიმართაც, იყოს დამყოლი რუსული ინტერესებისადმი. ისევე, როგორც რუსეთმა დააჩქარა საქართველოსთან დაკავშირებით, ცხინვალის რეგიონის ყირიმიზაციის პროცესი. მოგეხსენებათ, ცხინვალის ე.წ. პრეზიდენტმა თიბილოვმა გამოაცხადა, რომ შეიძლება რეფერენდუმი ჩაატაროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთებაზე, ანუ ყირიმიზაციის პროცესი დაიწყოს დაგეგმილზე 6 თვით ადრე, აგვისტოს თვეში. აგვისტოში დანიშნული ე.წ. რეფერენდუმის შედეგებით, შეიძლება ეს რეგიონი რუსეთის ფედერაციამ მიიერთოს.

***– რუსეთი ყველა ფრონტზე იბრძვის და ყველაფრისთვის იცლის, კონფლიქტების გაღვივებისა და ლოკალური ომებისთვის.***

– რა თქმა უნდა. როგორც ჩანს, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროებითი რეგენერაცია წარმოადგენდა ზეწოლას აზერბაიჯანის ხელისუფლებაზე, ხოლო ცხინვალის რეგიონში ყირიმიზაციის პროცესის დაწყება საეჭვოდ ემთხვევა საქართველოში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს და მთიან ყარაბაღში დაწყებულ პროცესებს.

***– მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაცია შეგნებულად ხომ არ ხდება, რომ მოხდეს ზეწოლა საქართველოზე, ცხინვალის ყირიმიზაციის უმტკივნეულოდ განსახორციელებლად? თუ ხმას ამოიღებთ ცხინვალის ყირიმიზაციის გამო, შეიძლება გავიმეოროთ ომი თავისი მასშტაბებით.***

– შინაარსი შეიძლება ეს იყოს, მესიჯი კი განსხვავებული – თუ არ იქნება გათვალისწინებული რუსეთის ამოცანები კავკასიაში, რუსეთი გააგრძელებს საქართველოზე ზეწოლას და განახორციელებს მისი ტერიტორიების ანექსიას, ანუ რუსეთი გადმოვა კავკასიონის აქეთ, რითაც სოლივით შემოიჭრება სამხრეთ კავკასიის ნაწილში.

***– როგორ შეგვიძლია წინ აღვუდგეთ ცხინვალის რეგიონის ყირიმიზაციას?***

– არ ვიცი. სამწუხაროდ, ყირიმის პროცესმა აჩვენა, რომ რუსეთს წინ ვერაფერი აღუდგება. ძალა აღმართს ხნავს. ისევ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის მხრივ აქტიური მუშაობაა საჭირო. შეიძლება ამ მოდელმაც არ იმუშაოს, რადგან დასავლეთსა და რუსეთს შორის ხიდია ჩატეხილი, ცივი ომის მდგომარეობაში არიან. არა მგონია, რუსეთმა დასავლეთის შეგონება ყურად იღოს. ცივი ომი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება იმედი კიდევ გვქონოდა. მით უმეტეს, რუსეთი ახლა დასავლეთის ჯიბრით მოქმედებს. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია.

# „აფხაზეთი უნგრეთის აღიარებას ელოდება“




**„ბუდაპეშტ თაიმსის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გასულ თვეში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე, რომელზეც მნახველები საკმაოდ უჩვეულო ფაქტის მოწმენი გახდნენ – აქ „კავკასიურ შავიზღვისპირეთში მდებარე სადავო ტერიტორია – აფხაზეთიც იყო წარმოდგენილი“.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:**

„ბევრ ადამიანს, რომელიც კარგად არაა ინფორმირებული, ალბათ, გაუჭირდება მსოფლიო რუკაზე აფხაზეთის მოძებნა, მით უმეტეს, არაფერი ეცოდინება ამ ქვეყნის დედაქალაქზე და სხვა ღირსშესანიშნაობებზე... განა ვინმეს რაიმე გაუგია ბესლეთის შუა საუკუნის ხიდზე, აფხაზეთის დიდ კედელზე, კოდორის ხეობასა თუ შვიდი ტბის ველზე?

აფხაზეთი, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი იყო, 1992 წელს მისგან გამოყოფა მოისურვა. ამ ნაბიჯმა საომარი მოქმედებების დაწყება გამოიწვია. აფხაზებს მიაჩნიათ, რომ მათი რესპუბლიკა 1931 წელს იძულებით მიუერთეს საქართველოს და, შესაბამისად, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, აფხაზეთსაც ისეთივე უფლება ჰქონდა გამოსულიყო მის შემადგენლობიდან, როგორც ეს სხვა რესპუბლიკებმა გააკეთეს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე 1992-93 წლებში მიმდინარე გააფთრებული ბრძოლები საქართველოს ჯარების განდევნით დასრულდა, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ომმა აფხაზეთის ეკონომიკა გაანადგურა. ზარალი 13 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული.

აფხაზეთმა საქართველოსაგან დამოუკიდებლობა 1993 წელს გამოაცხადა. საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ დაპირისპირებული მხარეები დაზავდნენ და მათ შორის რუსი მშვიდობისმყოფლები ჩადგნენ. რუსეთი აფხაზეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება. 1999 წელს აფხაზეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაადასტურა. 2004 წელს საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ აღადგენდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთს მის შემადგენლობაში დააბრუნებდა. 2008 წელს რუსეთმა იურიდიულად აღიარა აფხაზეთის სუვერენიტეტი და მას მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია. რუსეთი აფხაზეთზე გავლენის განმტკიცებას ცდილობს.

„ამრიგად, აფხაზეთთან დაკავშირებით საკმაოდ რთული სიტუაციაა შექმნილი და ამ შემთხვევაში, „ბუდაპეშტ თაიმსი“, ეხება რა ამ უხერხულ თემას, რისკავს, რომ რომელიმე მხარის უკმაყოფილება გამოიწვიოს. აფხაზეთი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფო არ არის და იქ 2014 წელს ჩატარებული „უკანონო“ საპრეზიდენტო არჩევნები დაგმობილ იქნა როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის მხრიდან. საქართველო აფხაზეთს რუსეთის მიერ „ოკუპირებულ ტერიტორიას“ უწოდებს. გარდა ამისა, თბილისმა პროტესტი გამოხატა 2014 წელს დადებული რუსეთ-აფხაზეთის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გამო და განაცხადა, რომ რუსეთს აფხაზეთის ანექსია სურს.

საქართველოსაგან გამოყოფილი რეგიონის დედაქალაქია სოხუმი, მოსახლეობა თითქმის 250 ათასი მცხოვრები ანუ იმის ნახევარი, რაც ომამდე იყო. სახელმწიფო ენა – აფხაზური რუსულთან ერთად. ძირითადი რელიგიაა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური (70%), არიან ისლამის მიმდევრებიც (16%), კათოლიკეებიც (45). ვალუტა – რუსული რუბლი. აფხაზეთი აგრარული ქვეყანაა, ძირითადად მოჰყავთ ციტრუსები, ჩაი... მდიდარია ხე-ტყით, არის ქვანახშირის საბადო და აქვს ჰიდრორესურსები. აფხაზური დამწერლობა კირილიცას ეფუძნება. აფხაზეთი მცირე ფართობის მქონე ქვეყანაა, სულ რაღაც 8700 კვ.კმ. აქვს სახმელეთო და საზღვაო საზღვრები. მისი რელიეფი მთიანია – 64% კავკასიის მაღალ მთებს უკავია, ბევრია მინერალური წყარო, კარსტული მღვიმე, ზოგიერთი კეთილმოწყობილია ტურისტებისათვის. აფხაზეთის მარგალიტს რიწის ტბა წარმოადგენს – ალპური წყალსატევი 900 მეტრს სიმაღლეზე ზღვის დონიდან. კომუნისტურ ეპოქაში აფხაზეთი საბჭოთა ელიტის დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა, აქ იყო იოსებს სტალინის აგარაკიც.

აფხაზეთში შესვლა შეიძლება როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან. თუმცა საქართველო რუსეთის მხრიდან შესვლას უკანონოდ მიიჩნევს.

სოხუმს აქვს აეროპორტი, მაგრამ ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციის გამო რეგულარული ავიარეისები არ სრულდება. აეროპორტი მხოლოდ რუსი ჩინოვნიკების ვიზიტებს და კერძო დაკვეთებს ემსახურება. უნგრელებს შეუძლიათ ავიაკომპანია „ვიზაირის“ პირდაპირი რეისით ჯერ საქართველოს ქალაქ ქუთაისში ჩაფრინდნენ, იქიდან კი აფხაზეთში გადავიდნენ“, – ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში საუბარია აგრეთვე აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებზე – სოხუმის მაიმუნთსაშენზე (მაიმუნებს საბჭოთა ეპოქაში კოსმოსური ექსპერიმენტებისათვის იყენებდნენ), კულტურულ ობიექტებზე და ა.შ. განსაკუთრებით ყურადღებაა გამახვილებული აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებაზე და ტაძრებზე (მაგალითად, ვრცლადაა აღწერილი ახალი ათონის სვიმონ კანანელის მონასტერი).

„აფხაზეთში ყოველწლიურად მილიონზე მეტი რუსი ტურისტი ისვენებს. გასულ წელს მათ უნგრელი ტურისტებიც მიემატნენ. თვითგამოცხადებული აფხაზეთი დღემდე სადავო რეგიონად რჩება, მის დამოუკიდებლობას დღეისათვის მხოლოდ გაეროს ოთხი წევრი-სახელმწიფო აღიარებს – რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ. სად კოსოვო ან პალესტინა და სად აფხაზეთი...“, – ასე მთავრდება „ბუდაპეშტ თაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# შეხვედრა ხიროსიმაში

ხიროსიმაში დიდი შვიდეულის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ.

თავდაპირველად მათ ხიროსიმის მშვიდობის პარკი დაათვალიერეს. აშშ-ის სახელმწიფო მინისტრმა ჯონ ქერიმ პარკის დათვალიერების შემდეგ განაცხადა:

— ის, რაც ვიხილე, შემაძრწუნებელია!

ქერი აშშ-ის ხელისუფლების პირველი წარმომადგენელია, რომელიც მშვიდობის პარკს ეწვია. იაპონიის ყველა წამყვანმა ტელეარხმა გადასცა, როგორ ათვალიერებდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ხიროსიმის ღირსშესანიშნაობებს, მათ შორის მშვიდობის პარკს. ჟურნალისტებთან საუბარში ქერიმ თქვა:

— მშვიდობის პარკი მრავალი თაობისთვის გაკვეთილია!




ჟურნალისტების შეკითხვაზე, ესტუმრება თუ არა პრეზიდენტი ობამა ხიროსიმას, ქერიმ მხოლოდ გაიღიმა. საქმე ისაა, რომ ობამას ვიზიტი აშშ-ში შესაძლოა არაერთგვაროვნად აღიქვან. აშშ-ის მოქალქეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური ბომბარდირება გამართლებული იყო, რადგან სხვანაირად მეორე მსოფლიო ომი არ დამთავრდებოდა. ობამას ხიროსიმაში ჩასვლა ერთგვარ ბოდიშად შეიძლებოდა აღქმულიყო. აშშ-ის პრეზიდენტიც, ალბათ, ამისგან თავს შეიკავებს.

რაც შეეხება მინისტრების შეხვედრას, აქ მთავარი თემა გლობალური უსაფრთხოება იყო. შეკრებილებმა დაგმეს ბრიუსელის ტერაქტები, მასობრივი მკვლელობები სირიაში. ხაზი გაესვა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა დამოუკიდებლად არცერთ ქვეყანას არ შეუძლია და საამისოდ კოლექტიური ღონისძიებებია აუცილებელი.

განხილვის მეორე საგანი დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო. ყველა მინისტრმა ერთხმად აღიარა, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნია. ამავე დროს, ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმებები არ სრულდება, რაზეც პასუხისმგებლობა ძირითადად რუსეთს ეკისრება.

ქერის ასეთმა კატეგორიულმა გამოსვლამ ეფექტი იქონია. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მინსკის შეთანხმებების შესრულება აუცილებელია. ასევე აუცილებელია თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში ეს ვერ მოხერხდება.

— პრორუსი მებრძოლები შეიარაღებულ პროვოკაციებს აწყობენ. ასეთ სიტუაციაში არჩევნების ჩატარება, ელემენტარულად, შეუძლებელია, — თქვა ქერიმ.

დიდი შვიდეულის მინისტრებმა მოუწოდეს რუსეთს, ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს და დონბასში მშვიდობის აღდგენას ხელი შეუწყოს.

— სხვაგვარად ვერც სანქციები გაუქმდება და ვერც რუსეთი დაბრუნდება დიდი შვიდეულის რიგებში, — განაცხადა ქერიმ.



## მოსკოვში ჟირინოვსკის ძეგლი გაიხსნა

მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ვლადიმერ ჟირინოვსკის ძეგლი.

სკულპტურის ავტორია ზურაბ წერეთელი. ძეგლის გახსნას წინ უძღოდა ცარიზმის დროინდელი ჰიმნი „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს".

ვლადიმერ ჟირინოვსკი უკვე 30 წელზე მეტია, რაც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა. მან სახელი გაითქვა თავისი შოვინისტური შეხედულებებითა და ექსცენტრული მანერებით.

სტალინის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ცოცხალ პოლიტიკურ მოღვაწეს ძეგლი დაუდგეს.

## ნადეჟდა სავჩენკო მალე უკრაინაში დაბრუნდება?



უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს ადვოკატ მარკ ფეიგინის აზრით, მისი კლიენტი მალე უკრაინაში დაბრუნდება.

მოსკოვსა და კიევს შორის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ფეიგინი თვლის, რომ სავჩენკოს გათავისუფლების ორი ვარიანტი არსებობს. პირველი გაცვლაა, მეორე კი — სასჯელის მოსახდელად სამშობლოში დაბრუნება.

თავად სავჩენკო მშრალ შიმშილობას განაგრძობს. მფრინავის დის, ვერა სავჩენკოს აზრით, გაცვლა ამ ეტაპზე ჩაიშალა, რაშიც დამნაშავე მხოლოდ რუსეთია.

— ნადეჟდა სავჩენკოს მდგომარეობა მძიმეა. ახლა აუცილებელია მისი კლინიკაში გადაყვანა და მასთან უკრაინელი ექიმების დაშვება, — ამბობს ვერა სავჩენკო.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## მარგარეტ ტეტჩერის ქანდაკება დაიწუნეს



დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ქალიშვილმა კეროლ ტეტჩერმა მკაცრად გააკრიტიკა ბრინჯაოში ჩამოსხმული საკუთარი დედის ქანდაკება. სამი მეტრი სიმაღლის ქანდაკება 2015 წლის ბოლოს შეიქმნა და ამჟამად საიდუმლო საცავში იმყოფება.

ქანდაკების დადგმა ლონდონში პარლამენტის მოედანზე იყო დაგეგმილი, სადაც უკვე დგას ისეთი პოლიტიკური მოღვაწეების ქანდაკებები, როგორებიცაა უინსტონ ჩერჩილი და ლოიდ ჯორჯი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, როგორც კი ახალი ძეგლის პროექტი კეროლ ტეტჩერს აჩვენეს, მან მკაცრი წერილი დაწერა, რომელშიც, მისი აზრით, სერიოზულ ნაკლზე მიუთითა, კერძოდ, ქალის ხელჩანთის არ ქონაზე.

თავის მხრივ, ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქანდაკების დადგმას არ დაუშვებს, ვიდრე „რკინის ლედის" ოჯახისგან სრულ მოწონებას არ დაიმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ ქალის ხელჩანთა მარგარეტ ტეტჩერის ისეთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, რომ ოქსფორდის ანბანში გამოჩნდა ზმნა „ქალის ხელჩანთა", რაც ოპონენტის მიმართ შეუბრალებელ დამოკიდებულებას გამოხატავს.

## ინგლისის ეკლესიის მეთაურის მამა ჩერჩილის მდივანი აღმოჩნდა



კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა ჯასთინ უელბიმ შეიტყო, ვინ არის მისი ნამდვილი მამა. ის დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის პირადი მდივანი აღმოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ანგლიკანური ეკლესიის სულიერი მეთაური ძალზე გაკვირვებული დარჩა, როდესაც მას მისი დნმ-ის ტესტის შედეგები აცნობეს, რომელმაც მისი წინაპრის ვინაობა დაადგინა.

დღემდე 60 წლის ჯასტინ უელბი მიიჩნევდა, რომ მისი მშობელი მამა ვისკის გამყიდველი გევინ უელბი იყო. მაგრამ გაირკვა, რომ სინამდვილეში მისი მამა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სერ ენტონი მონტეგიუ ბრაუნია.

არქიეპისკოპოსის დედამ დაადასტურა, რომ ოდესღაც მართლაც ჰქონდა ურთიერთობა ჩერჩილის მდივანთან, სწორედ მანამდე, სანამ 1955 წელს გათხოვდებოდა. მისი თქმით, მართალია მაშინდელი მოვლენები ბუნდოვნად ახსოვს, მაგრამ აღიარებს, რომ გათხოვებამდე მცირე ხნით ადრე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრაუნის საწოლში აღმოჩნდა.

## ამერიკელ პოლიციელს მოზარდი გოგონას დაკავების გამო დასჯიან

ამერიკის ტეხასის შტატში პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას მას შემდეგ ჩამოაშორეს, როდესაც დაკავების დროს 12 წლის სკოლის მოსწავლე გოგონა ტროტუარზე სახით დააგდო. მომხდარის ვიდეოჩანაწერი იუთუბიში საკუთარ არხზე გამოაქვეყნა ერთ-ერთმა თვითმხილველმა. ორ დღეში ეს ვიდეოჩანაწერი 182 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

მას შემდეგ, რაც ჯოშუა კემმა გოგონა სპორტული ნახტომით ძირს დასცა, მას ხელბორკილები დაადო და გარსშემოხვეული ბავშვების ჯგუფს გაარიდა.

იმ სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, რომელშიც დაკავებული გოგონა სწავლობდა, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა ასეთი საშუალებით შეაჩერა ორი თანაკლასელის ჩხუბი.

— ამ დროისთვის ახალ ინფორმაციას ველით მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, რათა შესაბამისი გადაწყვეტილება მივიღოთ, — განაცხადა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

## ესპანელი საკუთარ გატაცებას ემსხვერპლა

ესპანეთის ქალაქ ვიგოში პოლიციამ 51 წლის ადგილობრივი მცხოვრები მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინა, რომელიც პათოლოგიური შემგროვებლის სინდრომით იყო დაავადებული. გარდაცვლილი მისსავე სახლში იქნა აღმოჩენილი. მამაკაცი თავზე დამხობილმა იმ აუარებელი რაოდენობის სხვადასხვა ნივთებმა იმსხვერპლა, რომლითაც საკუთარი ბინა თავადვე გაავსო.

მამაკაცის გაუჩინარების შესახებ პოლიციას მისმა ნაცნობმა შეატყობინა, რომლის შეშფოთება იმით იყო გამოწვეული, რომ ის ფეისბუქში ზედიზედ ექვსი დღის მანძილზე კავშირზე არ გამოდიოდა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სახლში მაშინვე შეღწევა მასში დაგროვილი უამრავი ნივთების გამო ვერ მოახერხეს.



— სახლი ისე იყო გამოტენილი ათასგვარი უსარგებლო ძველმანებით, რომ ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი, — ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

მამაკაცის ცხედარი, რომელიც ბინაში მარტო ცხოვრობდა, შესასვლელი კარიდან ერთ მეტრში ნაგვის გროვაში აღმოაჩინეს. მის გამოსაყვანად მეხანძრეების დახმარება გახდა საჭირო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".



## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● „სამონასტრო მედიცინის" რეცეპტურით გთავაზობთ: ალკოჰოლიზმის (შეგიძლიათ საკვებში შერევაც), თამბაქოს საწინააღმდეგო, ნევროზების, უძილობის, ქოლეცისტიტის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, სახსრების სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას მცენარეული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ჩაწერა წინასწარ. ტელ: 555-45-13-45; 599-45-88-66 „კარაბადინი".

● „სამონასტრო მედიცინის" რეცეპტურით გთავაზობთ შეუხორცებელი ჭრილობების, ნაწოლების, ტროპიკული წყლულების, ეგზემის, სოკოს, ბუასილის, განგრენის, ვენების ვარიკოზის, პოდაგრის მალამოებს, მამაკაცის, ქალის ფორმულებს სქესობრივი პოტენციის აღდგენა-გაჯანსაღებისათვის. მცენარეულ და თაფლის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.**

# ზაზა და დალასი პლეი ოფში გავიდნენ




რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩი დალას მავერიკსმა სტუმრად იუტა ჯაზს მოუგო და პლეი ოფის საგზური მოიპოვა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილი გაინაღდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დალასელები პლეი ოფის პირველ წრეში ლიგის ერთ-ერთ ლიდერ სან ანტონიოს შეხვდებიან.

იუტაში გამართული მატჩი ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო. იუტელთათვის საერთოდ ყოფნა-არყოფნის გახლდათ, რადგანაც წაგების შემთხვევაში პლეი ოფის საგზურს ფაქტობრივად კარგავდნენ.

ქართველი გულშემატკივრების გასახარად, რომლებიც დალასელებს ფაჩულიას ხათრით ქომაგობენ, მავერიკსმა 101:92 იმარჯვა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 27 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა საკმაოდ ნაყოფიერად ითამაშა და თავი 5 ქულას, 9 მოხსნას და 3 პასს მოუყარა. ზაზამ 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ მატჩში ფაჩულიას გუნდი სან ანტონიოს უმასპინძლებს. შეხვედრას უფრო დაზვერვითი ხასიათი ექნება, რადგან, როგორც გითხარით, სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს პლეი ოფის პირველ წრეში.

# მოჭიდავეები ოლიმპიური ლიცენზიებისთვის იბრძვიან

სერბეთის ქალაქ ზრენიანში ევროპის ოლიმპიური სალიცენზიო ტურნირი იწურება და დღეს საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებები მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა.




აღსანიშნავია, რომ ტურნირში მხოლოდ ის სპორტსმენები ჩაებმებიან, ვისაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ოლიმპიადის საგზურები, ლიცენზიებს კი თითოეულ წონაში ფინალისტები მიიღებენ.

თავისუფალ სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს მხოლოდ 2 ლიცენზია დარჩა მოსაპოვებელი. აქედან გამომდინარე, სერბეთში ზურაბ იაკობიშვილი (65) და იაკობ მაქარაშვილი (74) გაემგზავრნენ. თუმცა, ველოდით, რომ მწვრთნელები რევაზ მინდორაშვილი და არჩილ ქიტიაშვილი მარქარაშვილის ნაცვლად ამირან ყველაშვილს იახლებდნენ.

თავისუფლებისგან განსხვავებით სავალალო მდგომარეობაა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში, რომელსაც 6 წონაში აქვს ლიცენზია მოსაპოვებელი. „კლასიკები“ სერბეთში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრნენ: რევაზ ლაშხი (59), შმაგი ბოლქვაძე (66), ზურაბ დათუნაშვილი (75), რობერტ კობლიაშვილი (85), ვასილ იმერლიშვილი (98) და სანდრო დიხამინჯია (130).

აქაც დიხამინჯიას ნაცვლად შემადგენლობაში იაკობ ქაჯაიას ველოდით, თუმცა ბეგი დარჩიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

გეტყვით იმასაც, რომ სერბულის გარდა, დარჩენილია კიდევ 2 სალიცენზიო ტურნირი. პირველი მსოფლიო საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი 22-24 აპრილს მონღოლეთის დედაქალაქ ულან ბატორში გაიმართება. იქ ლიცენზიას წონის 3-3 საუკეთესო მოჭიდავე მიიღებს. ხოლო 6-8 მაისს თურქეთის ქალაქი სტამბული უმასპინძლებს ბოლო საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირს, სადაც საგზურს მხოლოდ ფინალისტები მიიღებენ.

# დედაქალაქური დერბი უგოლოდ დასრულდა, ჩიხურა ევროსაგზურს დაშორდა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.




**საბურთალო – ლოკომოტივი 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**საბურთალო:** გოშაძე, იაშვილი, თოთაძე, მარგველაშვილი, გოშთელიანი (რუხაძე 87), ხარაიშვილი, ფანცულაია, ცაცკრიალაშვილი (ალთუნაშვილი 61), ელვინ ტერა, ბიძინაშვილი (კოხრეიძე 35), სოფრომაძე

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, ჩიტეიშვილი (გაბაძე 76), გეთიაშვილი, ცხადაძე (გავაშელიშვილი 80), დიასამიძე (მზევაშვილი 53), ქიქავა, ჩაგელიშვილი, მახარაძე, უბილავა, სამურკასოვი

დედაქალაქური დერბი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდებმა ერთმანეთის კართან რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, მთლიანობაში მატჩი დაბალ ტემპში წარიმართა.

პირველ ტაიმში ლოკომოტივი უკეთ გამოიყურებოდა, მეორეში უკვე საბურთალომ გამოასწორა თამაში, თუმცა ეს სამი ქულის მისაღწევად საკმარისი არცერთისთვის არ აღმოჩნდა.

დასაწყისში რკინიგზელებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ცოცხალმა კედელმა მოიგერია. რამდენიმე წუთში კი საბურთალოელთა მეკარემ, ოთო გოშაძემ ითამაშა საიმედოდ, როდესაც მოწინააღმდეგეს ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცა. ტაიმის შუაში გიორგი ხარაიშვილმა დაარტყა შორი მანძილიდან, მაგრამ რევაზ თევდორაძეს ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმის დებიუტში გიორგი ფანცულაიას მიეცა ხელსაყრელი ეპიზოდი, მაგრამ ახლო მანძილიდან შანსი ვერ გამოიყენა. მალე, უკვე სტუმარმა გიორგი დიასამიძემ გაისროლა საჯარიმოს გარედან, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარის ჩარჩოს. ერთ-ერთ ეპიზოდში ხარაიშვილმა სოლო-რეიდი განახორციელა, გზად რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა, მარცხენათი კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარე კვლავ კარგად გაისარჯა.

ყველაზე რეალური მომენტი კი ლოკომოტიველი დავით ჩაგელიშვილისა იყო, როდესაც ახლო მანძილიდან დარტყმის შემდეგ ბურთი გოშაძემ მოიგერია, იქიდან ასხლეტილი – ძელმა.

**კოლხეთი – ჩიხურა 2:0**

**ფოთი. პარკი არენა**

**1:0, 2:0 კვარაცხელია (4, 63)**

**კოლხეთი ფ:** სეფიაშვილი, ჩაკვეტაძე, კაკულია, თევზაძე, თუხარელი (ქებურია 58), გოგონაია, ლემონჯავა, სიჭინავა, გურეშიძე, გიგაური (პოლულიახი 76), კვარაცხელია (ტუღუში 64)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი, კორიფაძე, ვუკასოვიჩი (სარდალიშვილი 46), თ.კირკიტაძე (ლოვრეჩიჩი 74), კუჭუხიძე, ვოლკოვი (ჭანკოტაძე 46)

გამარჯვების შემთხვევაში ჩიხურა ევროსაგზურისთვის ბრძოლას აქტიურად გააგრძელებდა, მაგრამ ფოთის პარი არენაზე მატჩი დათმო და ახლა უახლოეს კონკურენტებს 7 ქულით ჩამორჩა. საჩხერლების იმედად თასი დარჩა, სადაც ნახევარფინალში ურთულესი მეტოქე ჰყავთ თბილისის დინამოს სახით.

ფოთელებმა კვარაცხელიას დუბლით იმარჯვეს და გასავარდნ ზონას 8 ქულით დაშორდნენ. დარჩენილ მატჩებში ზღვისპირელებს ამ უპირატესობის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ ვერც დამშვიდებული იქნებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 24 | 21 | 1 | 2 | 64-22 | 64 |
| 2.სამტრედია | 24 | 16 | 2 | 6 | 55-27 | 50 |
| 3.დილა | 24 | 15 | 5 | 4 | 39-19 | 50 |
| 4.სიონი | 24 | 12 | 7 | 5 | 44-26 | 43 |
| 5.ჩიხურა | 24 | 13 | 4 | 7 | 42-21 | 43 |
| 6.ცხინვალი | 24 | 10 | 8 | 6 | 40-30 | 38 |
| 7.დინამო (ბთ) | 24 | 10 | 6 | 8 | 35-26 | 36 |
| 8.ტორპედო | 24 | 9 | 6 | 9 | 33-35 | 33 |
| 9.შუქურა | 24 | 8 | 7 | 9 | 23-26 | 31 |
| 10.საბურთალო | 24 | 8 | 6 | 10 | 34-50 | 30 |
| 11.კოლხეთი | 24 | 7 | 5 | 12 | 18-26 | 26 |
| 12.ლოკომოტივი | 24 | 5 | 7 | 12 | 22-29 | 22 |
| 13.გურია | 24 | 4 | 8 | 12 | 21-39 | 20 |
| 14.მერანი | 24 | 4 | 5 | 15 | 21-50 | 17 |
| 15.ზუგდიდი | 24 | 3 | 6 | 15 | 22-52 | 15 |
| 16.საპოვნელა | 24 | 3 | 5 | 16 | 14-49 | 14 |

# ჩემპიონთა ლიგაზე დღეს პირველი ნახევარფინალისტები გაირკვევა




დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის ორი განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა.

**ატლეტიკო – ბარსელონა**

**3.3 3.2 2.25**

**(პირველი მატჩი 1:2)**

ერთმანეთისთვის კარგად ნაცნობი მეტოქეები ბოლო პერიოდში უშეღავათო და დაძაბულ მატჩებს მართავენ. ასეთი იყო პირველი შეხვედრაც, რომელიც კატალონიაში მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, დიდი ჯახის გადატანა მოუწია. ზებრები ფერნანდო ტორესის გოლით დაწინაურდნენ, რომელიც მალევე მოედნიდან იქნა გაძევებული და ბარსამ ლუის სუარესის დუბლით მოიგო.

ეს არ იყო ევროთასებზე ამ გუნდების პირველი ჯახი: 2013-14 წლების გათამაშების ამავე სტადიაზე ბარსელონაში ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ატლეტიკომ შინ 1:0 მოიგო. ახლა უპირატესობა უკვე კატალონიელთა მხარეს არის, რომლებსაც პირველი მატჩი აქვთ მოგებული, მაგრამ გოლი გაუშვეს საკუთარ მოედანზე. სწორედ ეს არის მადრიდელთა იმედი.

თუმცა, ზებრებს დისკვალიფიცირებული ტორესი დააკლდებათ, რასაც ტიაგუს ტრავმა ემატება. კატალონიელებს ვერ დაეხმარება ტომას ვერმალენი, თუმცა მას ბარსაში ისედაც იშვიათად უწევდა თამაში.

**ესპანურ დერბის იტალიელები განსჯიან:** ნიკოლა რიცოლი (მთავარი); ელენიტო დი ლიბერატორე, მაურო ტონოლინი (ასისტენტები); ლუკა ბანტი, ანტონიო დამატო (დამატებითი ასისტენტები); ჯანლუკა კარიოლატო (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, ერნანდესი, გოდინი, ფილიპე ლუისი, გაბი, ნიგესი, კოკე, გრიზმანი, კარასკო, ვიეტო

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა, ბუსკეტსი, ინიესტა, რაკიტიჩი, ნეიმარი, მესი, სუარესი

**ბენფიკა – ბაიერნი 5.5 3.4 1.7**

**(პირველი მატჩი 0:1)**

ბავარიელებმა პირველი მატჩი არადამაჯერებლად მოიგეს, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ზურგს სტატისტიკაც უმაგრებს. ლისაბონში აქამდე ჩატარებული 3 მატჩიდან ბენფიკას არ მოუგია. სწორედ ეს შედეგი აწყობს ბაიერნს, მაგრამ წაგებითაც შეუძლია შემდეგ ეტაპზე გავიდეს.

ბენფიკა კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგას, რადგან დისკვალიფიცირებული ჟონასი არ ეყოლება, რომელიც მიუნხენურ მატჩში ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო პორტუგალიელთაგან. ასევე ვერ ითამაშებს ტრავმირებული ჟულიო სეზარი და მის ნაცვლად კარს ედერსონი დაიცავს.

პეპ გვარდიოლა კი ტრავმირებულ ჰოლგერ ბადშტუბერსა და ჟერომ ბოატენგს მოისაკლისებს.

**მსაჯები ჰოლანდიიდან იქნებიან:** ბიორნ კეიპერსი (მთავარი); სანდერ ვან რუკელი, ერვინ ზეინსტრა (ასისტენტები); პოლ ვან ბუკელი, რიჩარდ ლისვედი (დამატებითი ასისტენტები); მარიო დიკსი (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ბენფიკა:** ედერსონი, ალმეიდა, ნილსონ-ლინდელოფი, ჟარდელი, ელიზეუ, ფეისა, სანჩესი, გაიტანი, პიცი, მიტროღლუ, ხიმენესი

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, კიმიხი, ბერნატი, ალაბა, ვიდალი, ალკანტარა, კოსტა, რიბერი, მიულერი, ლევანდოვსკი

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# შედეგები

**11 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ნოტინგემი-ბრაიტონი .................... 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო – ლას პალმასი .......... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 24 | 4 | 4 | 87-27 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 32 | 23 | 4 | 5 | 54-16 | 73 |
| 3.რეალი | 32 | 22 | 6 | 4 | 93-29 | 72 |
| 4.ვილიარეალი | 32 | 17 | 9 | 6 | 41-26 | 60 |
| 5.სელტა | 32 | 15 | 7 | 10 | 45-52 | 52 |
| 6.ბილბაო | 32 | 15 | 6 | 11 | 50-40 | 51 |
| 7.სევილია | 32 | 13 | 9 | 10 | 45-39 | 48 |
| 8.მალაგა | 32 | 10 | 11 | 11 | 30-29 | 41 |
| 9.სოსიედადი | 32 | 11 | 8 | 13 | 40-42 | 41 |
| 10.ლას პალმასი | 32 | 11 | 6 | 15 | 37-44 | 39 |
| 11.ეიბარი | 32 | 10 | 8 | 14 | 43-48 | 38 |
| 12.დეპორტივო | 32 | 7 | 16 | 9 | 41-47 | 37 |
| 13.ბეტისი | 32 | 9 | 10 | 13 | 29-45 | 37 |
| 14.ვალენსია | 32 | 9 | 10 | 13 | 36-39 | 37 |
| 15.ესპანიოლი | 32 | 10 | 6 | 16 | 33-60 | 36 |
| 16.რაიო | 32 | 7 | 10 | 15 | 43-64 | 31 |
| 17.გრანადა | 32 | 7 | 9 | 16 | 33-57 | 30 |
| 18.ხიხონი | 32 | 7 | 7 | 18 | 32-53 | 28 |
| 19.ხეტაფე | 32 | 7 | 7 | 18 | 28-56 | 28 |
| 20.ლევანტე | 32 | 6 | 7 | 19 | 28-55 | 25 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-ლაიპციგი ...................... 1:3

**იტალია. სერია ა**

რომა-ბოლონია .............................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 24 | 4 | 4 | 58-17 | 76 |
| 2.ნაპოლი | 32 | 21 | 7 | 4 | 66-27 | 70 |
| 3.რომა | 32 | 18 | 10 | 4 | 67-33 | 64 |
| 4.ინტერი | 32 | 17 | 7 | 8 | 42-30 | 58 |
| 5.ფიორენტინა | 32 | 16 | 8 | 8 | 51-35 | 56 |
| 6.მილანი | 32 | 13 | 10 | 9 | 42-35 | 49 |
| 7.სასუოლო | 32 | 12 | 12 | 8 | 40-35 | 48 |
| 8.ლაციო | 32 | 12 | 9 | 11 | 42-42 | 45 |
| 9.კიევო | 32 | 12 | 8 | 12 | 38-40 | 44 |
| 10.ჯენოა | 32 | 11 | 7 | 14 | 37-37 | 40 |
| 11.ტორინო | 32 | 10 | 9 | 13 | 41-44 | 39 |
| 12.ემპოლი | 32 | 10 | 9 | 13 | 36-43 | 39 |
| 13.ბოლონია | 32 | 10 | 7 | 15 | 31-37 | 37 |
| 14.ატალანტა | 32 | 9 | 9 | 14 | 31-38 | 36 |
| 15.სამპდორია | 32 | 9 | 9 | 14 | 46-49 | 36 |
| 16.უდინეზე | 32 | 9 | 7 | 16 | 29-48 | 34 |
| 17.კარპი | 32 | 6 | 10 | 16 | 29-50 | 28 |
| 18.პალერმო | 32 | 7 | 7 | 18 | 29-57 | 28 |
| 19.ფროზინონე | 32 | 7 | 6 | 19 | 29-60 | 27 |
| 20.ვერონა | 32 | 3 | 13 | 16 | 27-54 | 22 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-პერუჯა .................................. 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანსი-კრეტეი ................................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-გიმარაეში ........................ 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ლოკომოტივი .................. 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკხისარი-ქაშიმფაშა ...................... 0:1

ბეშიქთაში-ბურსა .......................... 3:2

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ესბიერგი ............ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-გიოტებორგი .......................... 3:3

მალმიო-სუნდსვალდი .................... 1:2

იორებრო-იონჩოპინგი .................. 2:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# გელა ჩარკვიანი: „სტალინის შესახებ მამაჩემზე კომპეტენტური წყარო არ არსებობს“





**„როგორც საბჭოთა საქართველოს პირველი პირი, კანდიდ ჩარკვიანი ფლობდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა სხვა ქართველისთვის“**



**11 აპრილიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება კანდიდ ჩარკვიანის წიგნი „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“. წიგნის შესახებ ვესაუბრეთ მის შემდგენელ-რედაქტორს გელა ჩარკვიანს:**

– მამაჩემი, კანდიდ ჩარკვიანი, 14 წლის განმავლობაში, 1938-დან 1952 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რეგულარულად ხვდებოდა სტალინს სხვადასხვა ვითარებაში. თავის საფუძვლიან მემუარულ ნაშრომში „განცდილი და ნააზრევი“ იგი მოგვითხრობს მისი დროის საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ყველა ასპექტის შესახებ და დეტალურად აღწერს სტალინთან შეხვედრების არაერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს.

ამ წიგნში თავმოყრილია ფრაგმენტები კანდიდ ჩარკვიანის მემუარებიდან, რომლებიც ყველაზე სრულად ახასიათებს სტალინის რთულ და წინააღმდეგობრივ პიროვნებას. მიუხედავად ორთოდოქსი მარქსისტი ავტორის აშკარა სიმპათიისა იოსებ სტალინისა და კომუნისტური წყობის მიმართ, მკითხველი უთუოდ შეიგრძნობს იმ სუსხიან ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა ზეცენტრალიზებულ, ერთი ადამიანის ნებას ტოტალურად დამორჩილებულ სახელმწიფოში.

აღსანიშნავია, რომ გარეკანზე გამოყენებულია ცნობილი ქართველი მხატვრის – უჩა ჯაფარიძის მიერ პასტელით შესრულებული სტალინის პორტრეტი, რომელიც მან კანდიდ ჩარკვიანს 1947 წელს აჩუქა. პორტრეტი წლების განმავლობაში ეკიდა ჩარკვიანის სამუშაო ოთახში და დღეს ინახება მის პირად არქივში. წიგნში ასევე შესულია კანდიდ ჩარკვიანის მიერ სტალინისადმი 1949 წლის დეკემბერში მიწერილი ბარათი საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის თაობაზე. წერილის არშიებზე ყავისფერი ფანქრით გაკეთებული შენიშვნები ეკუთვნის იოსებ სტალინს. ეს ბარათი დაედო საფუძვლად გახმაურებულ დისკუსიას ენათმეცნიერების საკითხებზე.

***– რამდენად სანდოა კანდიდ ჩარკვიანის მოგონებები სტალინზე?***

– საბჭოთა ეპოქის შესახებ ერთიანი აზრი ჯერაც არ ჩამოყალიბებულა. ამას აშკარად ხელს უშლის მთავარი მოქმედი პირის, სტალინის ფიგურა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში ცოტა მოიძებნება ისეთი მოღვაწე, რომელსაც თავისი თანამედროვეები ასე განსხვავებულად აფასებდნენ. ისეთ საკითხებშიც კი, სადაც ობიექტური აზრის ჩამოყალიბებას ხელს თითქოს არაფერი უნდა უშლიდეს, ვთქვათ, პიროვნული თვისებების თაობაზე, ორ საწინააღმდეგო აზრს წააწყდებით.

სხვადასხვა მემუარულ ნაშრომში წაიკითხავთ, რომ სტალინი გამუდმებით სვამდა და სხვებსაც ძალით ათრობდა, ან პირიქით, იყო ასკეტი და ადამიანური არაფერი სჩვეოდა. რომ იგი იყო უწიგნური, რომელიც რუკაშიც კი ვერ ერკვეოდა, ან პირიქით, იყო დიდად განსწავლული ერუდიტი, ჰქონდა აბსოლუტური სმენა და თავს, უმეტესწილად, საოპერო მუსიკის მოსმენით ირთობდა. დღესაც ზოგისთვის სტალინი ეჭვებით შეპყრობილი სისხლიანი ურჩხულია, ზოგისთვის კი – კაცობრიობის ბედზე მზრუნველი გენიოსი.

ამის გათვალისწინებით უფრო მეტ ღირებულებას იძენს კანდიდ ჩარკვიანის მოგონებები სტალინზე. მამაჩემი იყო ერთადერთი შემორჩენილი, ან იქნებ უმჯობესია ითქვას, სასწაულებრივად გადარჩენილი ქართველი, რომელიც ფლობდა უშუალო ინფორმაციას სტალინის, კრემლისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ. მასავით კომპეტენტური წყარო არ არსებობდა, რადგან, როგორც საბჭოთა საქართველოს პირველი პირი, კანდიდ ჩარკვიანი ფლობდა ისეთი ხასიათის ინფორმაციას, რომელიც არ შეიძლება ხელმისაწვდომი გამხდარიყო კრემლს მიღმა მყოფი სხვა ქართველისათვის.

კრემლში მოღვაწე ქართველს, ლავრენტი ბერიას, როგორც ვიცით, არ დასცალდა, რაიმე საჯაროდ განეცხადებინა. გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში საპასუხისმგებლო პოსტებზე მომუშავე ქართველი ბოლშევიკების დიდი უმრავლესობა რეპრესირებული იყო, ან თავისით გარდაიცვალა და ვერ მოესწრო 1953 წლის შემდგომ სტალინურ ეპოქას. ამიტომაც მოგონებები, რომლებიც დაიწერა და დღესაც იწერება საქართველოში ჩვენი ერის ისტორიის ამ ძალზე საინტერესო მონაკვეთის შესახებ, უმეტესად ეფუძნება ისეთი პიროვნებების გამოცდილებას, რომლებიც ან საერთოდ არ შეხვედრიან სტალინს, ან ეპიზოდურად ხვდებოდნენ მას ძველი ნაცნობობისა თუ მეგობრობის გამო.

გამონაკლისს წარმოადგენს აკაკი მგელაძე, რომლის მოგონებების წიგნი რეალურ გამოცდილებას ემყარება, თუმცა მგელაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1952 წლის აპრილიდან 1953 წლის აპრილამდე ანუ ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მისგან განსხვავებით, კანდიდ ჩარკვიანს მრავალი წლის განმავლობაში ხშირად უნახავს სტალინი როგორც ოფიციალურ, საქმიან, ისე საკმაოდ არაფორმალურ ვითარებაში, კერძოდ, სუფრასთან.

ამდენად, კანდიდ ჩარკვიანი, როგორც ჩვენი ერისათვის საბედისწერო მოვლენათა ერთ-ერთი იშვიათი თვითმხილველი, მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა.



***– რას გაიხსენებდით კანდიდ ჩარკვიანის საქართველოს პირველ პირად ყოფნის პერიოდზე?***

– ცკ-ის პირველ მდივნად მუშაობის განმავლობაში შესრულებული საქმეებიდან მამაჩემი განსაკუთრებით ამაყობდა სამი დიდი პროექტით, რომლებსაც აუარებელი დრო, გამომგონებლობა, ენერგია და კრემლთან დიპლომატიური ძალისხმევა შეალია.

ესენია – რუსთავი, ქალაქი და მეტალურგიული კომბინატი, სამგორის ანუ თბილისის ზღვა და თბილისის მეტროპოლიტენის აშენების თაობაზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფა. მას ხელი სტალინმა მოაწერა.

იყო სხვებიც – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაარსება, ჰესები, ქართული ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონზე მუშაობის დაწყება, ქალაქის მოსაზღვრე ვაკეებსა და მთის კალთებზე უამრავი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხის დარგვა და ვაკის პარკის გაშენება. ეს უკანასკნელი შეიძლება კანდიდ ჩარკვიანის ახირებად ჩაითვალოს, იმდენად დიდი იყო მისი ენთუზიაზმი ამ პროექტის მიმართ.

რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველ კვირადღეს დავყავდით ბავშვები იმის სანახავად, თუ არაფრიდან როგორ იძენდა ფორმას ვაკის პარკი.

პირველი პირების უპირატესობა ისაა, რომ მათი ახირებაც კი მეტწილად ხორცს ისხამს. ამაში ცუდი არაფერია, თუკი ახირებას შეუძლია, ხალხს სარგებლობა მოუტანოს.

**ესაუბრა ნატო გორდელაძე**

## 89 წლის ბებიამ ქურდს ჯოხით სცემა

დიდი ბრიტანეთის სურეის საგრაფოს 89 წლის მცხოვრებმა მის სახლში შეპარული ქურდი ცემით გააგდო, რომლის დროსაც სხვადასხვა ნივთები გამოიყენა.

გრეის სმიტის თქმით, ის საყვარელი ტელეშოუს საყურებლად ემზადებოდა, როდესაც საკუთარი ბინის კარის ზღურბლზე უცნობი მამაკაცი შენიშნა. მან დააკაკუნა და ცდილობდა მოხუცი ქალბატონი დაერწმუნებინა, რომ სახლის უკანა ეზოში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეჩვენებინა. როდესაც მამაკაცი მიხვდა, რომ მას სახლში არ შეუშვებდა, მან ქალს ხელი ჰკრა, ბინაში შევიდა და ძვირფასი ნივთების ძებნა დაიწყო.

– მისთვის საკმარის იქნებოდა, ჩემთვის მსუბუქად ჩაეცხო რამე, მაგრამ იმ მომენტში ამაზე არ მიფიქრია. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ის ჩემ ნივთებს ვერ უნდა დაუფლებოდა, – განაცხადა სმიტმა. როდესაც მოხუცი ქალბატონი მიხვდა, რომ მის სახლში მძარცველი შეიჭრა, მას რაც კი ხელში მოხვდა, ყველაფერი დაუშინა, მათ შორის ხის ხელჯოხი, ხოლო როდესაც მძარცველს თავში ნათურა ჩასცხო, ბოროტმოქმედი სახლიდან ისე გაიქცა, რომ ვერაფრის წაღება ვერ მოახერხა.

ადგილობრივმა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 13 აპრილისთვის



**ვერძი** – ნებისმიერ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მიუდექით. გელით კარიერული წინსვლა. ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. **კურო** – დღეს შეგიძლიათ თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ტყუპები** – მიუხედავად სირთულისა, შეეცადეთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობის დროს კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. საღამოს აუცილებლად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. **კირჩხიბი** – არაკეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის, სამსახურის შესაცვლელად, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **ლომი** – მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და გონებამახვილობაზეა დამოკიდებული. **ქალწული** – საგრძნობლად აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა, ეს კი წარმატების წინაპირობაა. სარფიანი წინადადების წყალობით მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. **სასწორი** – თქვენი ენერგიისა და სასიცოცხლო რესურსების გამოყენების უფლებას ნურავის მისცემთ. დაისვენეთ, არ მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. **ღრიანკალი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ბიზნესმენებმა დღეს იაქტიურეთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** – პროფესიულ სფეროში აქტიურობა წარმატებას მოგიტანთ. გადაწყვეტილებას უცებ ნუ მიიღებთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ – ეს თქვენს პირად ბედნიერებას ეხება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ფულს შოულობთ. გააკონტროლეთ შემოსავალი და გასავალი. დღის მეორე ნახევარი ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. **მერწყული** – ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს ოჯახის წევრებთან. განსაკუთრებით დაგეძაბებათ ურთიერთობა უფროსი ასაკის ნათესავებთან. აუცილებლად დაისვენეთ და ჯანმრთელობას მიხედეთ. **თევზები** – მოსალოდნელია პრობლემები პირად ცხოვრებაში. კონფლიქტი ახლობელ ადამიანთან დროებითია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 5. თეთრეულისა და ტანსაცმლის კარადა; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. ფრანგი მევიოლინე, საერთაშორისო კონკურსის დამფუძნებელი; 13. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 14. აფრიკული ცხოველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 20. ბრიტანული ტაქსი.

**თარაზულად**: 6. ჩანჩქერი აფრიკაში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 11. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 19. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 21. ძმარმჟავა მარილი; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. ქართული მინერალური წყალი.

***შეადგინა თ.გოგინაშვილმა***

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბარამბო; 2. დეფიციტი; 3. შაპიტო; 4. გიუმი; 5. სერფინგი; 8. მონიუშკო; 12. მუხა; 13. დიაგრამა; 14. ოკრიბა; 16. მელიავა; 18. მალტა; 20. ტახო.

**თარაზულად:** 6. შანსონიე; 7. ახალციხე; 8. მარინა; 9. ომალო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ბაქტრიანი; 21. მარჩილი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სალიამი; 2. აფხაზეთი; 3. ყიფიანი; 5. ლომბარდი; 7. ბულბული; 9. ინფანტინო; 13. დიუპონი; 15. დავოსი; 16. იბერია; 18. ონიმა.

**თარაზულად:** 6. ბაბილონი; 6. საფიჩხია; 8. ქინძმარაული; 10. კაბალიე; 11. ფინო; 12. ალონჟი; 14. იდიში; 17. სტეპი; 20. კრეისერი; 21. ოქრო; 22. ყიზილბაში; 23. თაკვერი.

# ბათუმში შინდისის გმირების სკვერი დაარბიეს



ბათუმში შინდისის გმირების სახელობის ახალგახსნილი სკვერი დაარბიეს.

ინფორმაცია ბათუმის მერიამ გაავრცელა:

– ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე, შინდისის გმირების სახელობის ახლადგახსნილ პარკში გამთენიისას ვანდალურად იქნა განადგურებული ახალდარგული ხე-მცენარეები. დაზიანებულია სკამები, სანაგვე ურნები და სკვერში არსებული ინვენტარიც. ფაქტს სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ.

შინდისის გმირების სახელობის სკვერი ახლახან გაიხსნა. ბათუმის მერია მოუწოდებს მოსახლეობას, გამოიჩინონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, გაუფრთხილდნენ და არ დააზიანონ ქალაქის ინფრასტრუქტურა.

ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გაანადგურეს სკვერში დარგული ხე-მცენარეები, სკამები და ნაგვის ურნები. სკვერი ორი დღის წინ გაიხსნა და ის 4 ჰექტარზეა გაშენებული.

საქმეში სამართალდამცავები ჩაერთვნენ და მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მიშელ ობამას მოდელიერმა გეი-ქორწილი გადაიხადა



ტაივანელმა მოდელიერმა ჯეისონ ბუმ, რომელმაც მიშელ ობამასთვის ორივე ინაუგურაციისთვის შექმნა კაბები, მექსიკაში თავის პარტნიორთან იქორწინა.

33 წლის ბუს რჩეული, რომელსაც ამ მომენტისთვის ჰუგო ბოსის კრეატიული დირექტორის თანამდებობა უკავია, გახდა ფინანსისტი გუსტავო რანგელი. საქორწინო ცერემონიის ამსახველი ფოტოსურათები დიზაინერმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, რომელზეც მას 313 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ბუმ და რანგელმა ერთმანეთი 2005 წელს შობის დღესასწაულის ზეიმის დროს გაიცნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# ნეიმარს ფინანსები დაუთვალეს



ბოლო დროს ბევრი საუბარი მიდის იმის თაობაზე, რომ ბრაზილიელმა ნეიმარმა ბარსელონა დატოვოს და სხვა კლუბში გადაბარგდეს. თუმცა, წინადადება ძალიან მაცდუნებელი უნდა იყოს, რადგან მსოფლიო მედიამ ახალგაზრდა თავდამსხმელის პირადი ხელშეკრულების დეტალები გამოამზეურა, სადაც კარგად ჩანს, რომ ბრაზილიელი მშვენივრად გრძნობს თავს კატალონიაში.

24 წლის ფეხბურთელის ყოველწლიური ანაზღაურება 5 მილიონ ევროს შეადგენს, თუმცა, 2018 წელს, საერთო ჯამში მას უკვე 49,5 მილიონი ევროს მოგროვება შეეძლება.

ბარსელონაში გადასვლისთვის ნეიმარმა 8,5 მილიონი ევრო მიიღო. აგრეთვე, ყოველ ზაფხულს ის დამატებით 100.000 ევროს გამოიმუშავებს, იმის მიუხედავად, თამაშობს თუ არა.

1,1 მილიონს ბრაზილიელს იმ შემთხვევაში დაუმატებენ, თუ ის კატალონიელთა მატჩების 60%-ზე მეტში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო კიდევ 637.000-ს დაუმატებენ თუ გუნდი უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოხვდება. 425.000 ევროს მიიღებს ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში გასვლისთვის, იმავე თანხას – ოქროს ბურთის მოპოვებისთვის.

ესპანეთის ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, ნეიმარს დამატებით 637.000-ს გადაუხდიან. თუ სამეფო თასსაც მოიგებს, ეს თანხა 850.000-ს გაუტოლდება, ტრიპლეტის შემთხვევაში კი – მილიონნახევარს.

ამ ყველაფრის გარდა, ხელშეკრულებაში წერია, რომ ნეიმარმა კატალონიური ენა უნდა შეისწავლოს, რათა ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია შეძლოს და პატივი სცეს რეგიონის კულტურულ ფასეულობებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ანზორ ერქომაიშვილი საავტორო უფლებების დაცვას ითხოვს



ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი საავტორო უფლებების დაცვას ითხოვს.

ანზორ ერქომაიშვილის თქმით, მის მიერ მოძიებული ქართული ფოლკლორის ნიმუშები მეკობრულად ვრცელდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ვებგვერდებზე და იყიდება.

დახმარებისთვის ლოტბარმა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას მიმართა და პრობლემის მოგვარება კანონიერი გზით გადაწყვიტა.

**ანზორ ერქომაიშვილი:**

– ბევრი ქართული ჩანაწერი უცხოეთში იყიდება. არავის არაფერს ეკითხებიან. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ალბომები იყიდება მთელ მსოფლიოში და აქედან ერთი კაპიკი არ აგვიღია. საკმაოდ დიდ თანხაზეა ლაპარაკი, ჩვენ კი ავანსი არასდროს აგვიღია. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იყიდება ჩვენი ჩანაწერები. ქართული კულტურის შედევრებს ასე არ უნდა ექცეოდნენ. გვჯერა, რომ შესაბამისი უწყებების ჩარევით პრობლემა დროულად მოგვარდება.

**დავით გველესიანი, ანსამბლ „რუსთავის" წევრი:**

– მართლაც დავიტანჯეთ ამდენი უსამართლობით. ამ მეკობრეებს ვერაფერი მოვუხერხეთ. ევროპაში სომხები ყიდდნენ რუსთავის დისკებს, როგორც სომხურ ანსამბლს.... რუსეთშიც უხვად ყიდიან და ახლა ამერიკაშიც....

**გიგა კობალაძე, საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელი:**

– ყველა ვებგვერდს, ქართულსაც და უცხოურსაც, მივწერეთ და მოვთხოვეთ ამ უკანონო ქმედებების შეწყვეტა. გავაცანით, რომ უფლების მფლობელები ითხოვენ ამას. რამდენიმე ვებგვერდმა შეაჩერა ამ ჩანაწერების გაყიდვა. ველოდებით სხვებსაც, თუ არადა, მივმართავთ სასამართლოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სალომე ზურაბიშვილი კულტურის მინისტრს აკრიტიკებს



პოლიტიკური მოღვაწე სალომე ზურაბიშვილი კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძეს აკრიტიკებს და მსოფლიო ვარსკვლავების წინასაარჩევნოდ საქართველოში ჩამოყვანაში ნაციონალური მოძრაობის მეთოდებს ხედავს.

**სალომე ზურაბიშვილი:**

– რა საჭიროა ამისთვის 29 მილიონის გაფლანგვა? რა ტურიზმი, რის ტურიზმი? კულტურული ტურიზმი იმას ჰქვია, როცა შენი კულტურის აღმოსაჩენად ჩამოდის უცხო ქვეყნის მგზავრი...

საერთოდ, შთაბეჭდილება იქმნება, რომ კულტურის მინისტრი მხოლოდ იმ მოდელით აზროვნებს, რომელიც იყო ნაცების დროს მიღებული... ამ პროგრამას თუ დაუკვირდება ადამიანი, ნათლად ჩანს, რომ ამ უცხოელების ჩამოყვანის, ყველაზე ხარჯიანის გადასაფარავად მოყვანილია სხვა ღონისძიებები, რომლებიც ისედაც იგეგმებოდა ან დიდი ხანია ტარდება ქვეყანაში მცირე დაფინანსებით... ეს დაფინანსება არც გაზრდილა, მაგრამ ლამაზად გამოიყურება ასე ჩამოწერილი მრავალი კინო თუ თეატრალური ფესტივალი...

საკვირველია, ხელისუფლება რატომ არ ინტერესდება, რაში და როგორ იხარჯება უზარმაზარი თანხები, რითაც ძალიან დიდი საქმეების გაკეთება მართლაც შეიძლება საქართველოს კულტურის გასავრცობად...

საზოგადოება კი უნდა ინტერესდებოდეს, დეტალურ პროგრამასთან ერთად რატომ არ გვაწვდიან თითო სპექტაკლისა თუ ფესტივალის ხარჯთაღრიცხვას ... გამჭვირვალობა ამას ჰქვია....

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# შამილიშვილი ევროპაზე მეცხრე ადგილს დასჯერდა




ნორვეგიის ქალაქ ფორდეში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. პირველ დღეს ქართველ სპორტსმენთაგან ფიცარნაგზე არავინ გამოსულა, ხოლო მეორე დღეს საქმეში 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში რამინ შამილიშვილი ჩაერთო.

ჩვენებური საერთო მაჩვენებლით ა ჯგუფში გამოდიოდა. შამილიშვილმა ატაცში 118, 121 და 123 კილოგრამი აიტაცა, რითიც პირადი რეკორდი დაამყარა, მაგრამ ცუდად იასპარეზა აკვრაში, სადაც ჯერ 142 კილოგრამი შტანგა დაძლია, შემდეგ კი 2 ცდაზე ვერაფერი მოუხერხა 147 კილოგრამს. შამილიშვილი საბოლოოდ, ჯამში 265 კილოგრამით, მეცხრე ადგილზე გავიდა. ეს მაჩვენებელი 10 კილოგრამით ჩამორჩება ქართველი ძალოსნის ნაჩვენებ შედეგს.

ჩემპიონი გახდა თურქი ჰურსით ათაქი 296 (126+170). მე-2 ადგილზე რუსი ფელიქს ხალიბეკოვი გავიდა – 289 (133+156). მესამეზე – ბულგარელი ვლადიმირ მარინოვ ურუმოვი 288 (129+159).

შამილიშვილის გამოსვლაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა:

– რამინმა მშვენივრად დაიწყო გამოსვლა და ატაცში პირადი რეკორდი დაამყარა, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი იყო მისი გამოსვლა აკვრაში. იმედია, მომავალში კიდევ უფრო მოუმატებს და მინდა, წინსვლა ვუსურვო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ქ.სოხუმის მე-19 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, შრომის ვეტერანი

**შალვა შელია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## პროგრამა

ოთხშაბათი
13 აპრილი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა **1"4** ფინალური მატჩი: **00.40** მხ/ფ **"დანტეს პიკი"** (პ.ბროსნანი) **02.40** მხ/ფ **"ჩემი ადგილი მზის ქვეშ"**

**08.00, 10.10, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **11.45** დოკ/ფ "საბერძნეთი-ათენი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" მეოთხედ ფინალი: **00.40** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ბამბის ველი"** **8** სერ. **11.20** სერ. **"დახურული სკოლა"** **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ. **"რა ხდება?"** **02.40** მხ/ფ. **"შეცვლილი გზები"** **04.30** ქ.მხ/ფ. **"ფარაჯანოვი"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები"** **10.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. **"ძვლები"** **15.30** Discovery- ლომებთან ცხოვრება **16.30** აირჩიე კაბა - მეჯვარეები **17.00** რემონტი **17.30** ან/სერ. **"ავატარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი"** **20.30 20.30 22.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **23.30** მხ/ფ **"ბაფი – ვამპირების გამანადგურებელი"** **1.05** ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი **2.05,** URBAN STORIES **3.00** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.05** დ/ფ **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთხელ ბავშვობაში **11.00** სათავეებთან **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ველური ბუნება "სპილოების დაჭერა" **16.00** დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცელი" **17.10** წმინდანები "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მალე გაზაფხული მოვა"** **20.40** ძილი ნებისა "კაცი და ლომი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი "მამაწმინდა" **21.35** დ/ფ "სულიერი სამშობლო" **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. **"შავი ფული და სიყვარული"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. **"კარმელიტა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. **"ცოდვილი სისხლი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **"ეკატერინა"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. **"მიშკა იაპონჩიკი"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

13 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2782 |
| ევრო | 2.5956 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2442 |
| 100 რუსული რუბლი | 3.4108 |

**ამინდის პროგნოზი 13 აპრილისთვის**





# 14 აპრილიდან

# ოკეანოლოგია




ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

საუკეთესო საჩუქარი თქვენი შვილებისთვის!

„ნაუტილუსის" მოგზაურობის ნამდვილი ამბავი

რა საიდუმლო იმალება ოკეანის სიღრმეში? იმოგზაურე წყალქვეშა გემ „ნაუტილუსით“ და გაეცანი ოკეანის უცნაურ ბინადრებს.

ამ გამოუცნობ სამყაროში ზოტიკუს დე ლესეფსის დღიურები გაგიძღვება, კაპიტნობას კი ლეგენდარული კაპიტანი ნემო გაგიწევს, რომელსაც ჟიულ ვერნის ნაწარმოებებიდან იცნობ.

აღმოაჩინე დაკარგული ქალაქი ატლანტიდა, მოიპოვე ოკეანის საგანძური და უფრთხილდი პოსეიდონის წყევლას. წინ ხიფათითა და თავგადასავლებით სავსე მოგზაურობა გელის!












გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი











## ბარსელონა კევინ გამეიროთი დაინტერესდა



ბარსელონა ახალი ფორვარდის ძიებაშია. კატალონიურ გუნდს გადაწყვეტილი აქვს კიდევ ერთი თავდამსხმელის ყიდვა, რომელიც შიგადაშიგ მესის, სუარესს ან ნეიმარს შეცვლის ხოლმე.

ბარსელონის ახალი სამიზნე სევილიის ფრანგი წინახაზელი კევინ გამეიროა, რომელიც წელს ძალიან შედეგიანად ირჯება თავისი გუნდისთვის და ესპანეთის ჩემპიონატში მის ანგარიშზე 15 გოლია.

გამეიროს სატრანსფერო ღირებულება 40 მილიონი ევროა, თუმცა ბარსელონა ამდენის გადახდას არ აპირებს და სევილიას 20 მილიონს სთავაზობს.

კევინ გამეირო სევილიაში მესამე სეზონს ატარებს, მანამდე კი ის პსჟ-ში თამაშობდა, სადაც დიდი კონკურენციის გამო ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო.

## რეალი ხიმენესში ატლეტიკოს 60 მილიონ ევროს სთავაზობს



რეალმა მადრიდის ატლეტიკოს ურუგვაელ ცენტრალურ მცველ ხოსე მარია ხიმენესს დაადგა თვალი და ზაფხულში მის შეძენაზე იზრუნებს.

ხიმენესი დიეგო სიმეონეს აღმოჩენილია. ის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა მცველად ითვლება ესპანეთში. ამის გამო მისი სატრანსფერო ფასიც მაღალია და მისი შეძენის მსურველებს 60 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

როგორც ესპანური პრესა იტყობინება, რეალი მზად არის, ხიმენესში ეს თანხა გადაიხადოს.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## მანუელ პელეგრინი ზენიტს მიუახლოვდა


© EMPICS Sport

ყველასთვის ცნობილია, რომ ამ სეზონის დასრულების შემდეგ ჩილელი სპეციალისტი მანუელ პელეგრინი მანჩესტერ სიტის დატოვებს, მის ადგილზე კი ხოსეპ გვარდიოლა მოვა.

პელეგრინი უკვე ფიქრობს თავის მომავალზე და საქმე იქითკენ მიდის, რომ ის სანკ-პეტერბურგის ზენიტს ჩაუდგება სათავეში. ეს ინფორმაცია თითქმის დაადასტურა პელეგრინის აგენტმა ხესუს მარტინესმა, რომელმაც თქვა, რომ პელეგრინი ზენიტს ძლიერ გუნდად მიიჩნევს და მისთვის საინტერესო იქნება ამ კლუბში მუშაობა.

თვითონ ზენიტს ამ საკითხზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სინიშა მიხაილოვიჩი მილანის მწვრთნელი აღარ არის



მილანის სერბი თავკაცი სინიშა მიხაილოვიჩი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ამის მიზეზი არადამაკმაყოფილებელი შედეგებია, რომელთაც მილანი აჩვენებს წლევანდელ სეზონში.

გუნდი სატურნირო ცხრილის შუაში იმყოფება და ევროტურნირებზე გასვლის მცირე შანსი აქვს.

მიხაილოვიჩმა თავის ტვიტერის გვერდზე ყველას მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ ის ამაყობს იმ ფაქტით, რომ მილანის მწვრთნელი იყო.

მილანის ახალ თავკაცი კრისტიან ბროკი იქნება, რომელიც, როგორც ფეხბურთელი, სწორედ მილანის ღირსებას იცავდა.

რაც შეეხება სინიშა მიხაილოვიჩს, ის სამწვრთნელო კარიერას, სავარაუდოდ, რომელიმე იტალიურ კლუბში გააგრძელებს.

## იუვენტუსს ისკოს შეძენა სურს



ტურინის იუვენტუსი უკვე დიდი ხანია, რეალის შემტევი ნახევარმცველის ისკოს შეძენას ცდილობს, თუმცა ჯერჯერობით იტალიელებს არაფერი გამოსდით.

მიუხედავად ამისა, იუვეს ხელმძღვანელობა არ ნებდება და ამ ტრანსფერთან დაკავშირებით რეალთან მოლაპარაკებას ცდილობს.

იუვენტუსმა რეალს 30 მილიონი შესთავაზა, რაზეც სამეფო გუნდისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ იტალიელებმა თანხა 40 მილიონ ევრომდე გაზარდეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რეალი ისკოსთან დაკავშირებით, რადგან ბოლო პერიოდში ისკოს ხშირად აკრიტიკებენ, ამიტომ მისი წასვლა რეალიდან სულაც არ არის გამორიცხული.

ისკო რეალში 2013 წლის ზაფხულში გადავიდა, მანამდე კი ის მალაგის ღირსებას იცავდა.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 2. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის იტალიური ენციკლოპედია; 3. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი; 5. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 7. ქალაქის თავი ძველად იტალიაში; 9. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 13. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესების კრებული; 15. მთიანეთი აზიაში; 16. ბოშათა წინამძღოლი; 18. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად**: 4. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. გუნდური შეჯიბრება სირბილში, ცურვაში; 8. ნიადაგის გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 11. მდგომარეობა ჭადრაკში; 12. კაზაკთა სოფელი; 14. დეკორატიული ჯიშის პატარა, ხშირბეწვიანი ოთახის ძაღლი; 17. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 19. უმარტივესი ერთუჯრედიანი, მიკროსკოპული ცხოველი; 20. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში; 21. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 22. მოულოდნელი საჩუქარი; 23. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



ერთი გოგონა მეორეს ეუბნება:

– გუშინ მეზობლის ჭუჭყიან მანქანაზე დავაწერე: „გამრეცხე!“.

– მერე?

– დღეს მანქანა ისევ ჭუჭყიანი იყო, ხოლო ჩემი ნაწერის ქვეშ ეწერა: „მოდი და გაგრეცხავ“.

●●●

ქმარმა სანადიროდ გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ ცოლი გადაეკიდა, მეც წამიყვანეო. ბოლოს დათანხმდა. ადგილზე რომ მივიდნენ. ქმარმა ცოლი მდელოზე დააყენა, თოფი მისცა და ეუბნება:

– ჩვენ, კაცები, ახლა წავალთ და ცხენირემს გამოვდენით. მინდორზე რომ გამოვა, ესროლე და მერე, სანამ ჩვენ არ მოვალთ, უდარაჯე.

ქმარი წავიდა და მეგობრებთან ერთად ქეიფი გააჩაღა, რომ შებინდდა, ცოლს წამოსაყვანად მიაკითხა და რას ხედავს: მინდორში მოკლული ცხოველი გდია, ცოლი კი თოფით ვიღაც მამაკაცს დასდევს და უყვირის:

– ეს ჩემი ცხენირემია! ეს ჩემი ცხენირემია!

პასუხად მამაკაცი უყვირის:

– შენია, შენი, მხოლოდ უნაგირი მომახსნევინე...

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამა, ცოლი, დიდი ხნითაა?

– სიცოცხლის ბოლომდე, შვილო!

– აუუ, სკოლაზე უარესი ყოფილა?!

●●●

დილით ოფიცერმა ჯარისკაცები ხაზზე მოაწყო და უყვირით:

– ვინ დათვრა გუშინ? მიპასუხეთ!

ყველა დუმს, ხმას არავინ იღებს.

– ვიმეორებ, ვინ დათვრა გუშინ?

– მე, ბატონო ოფიცერო, – უპასუხა ერთმა ჯარისკაცმა და მწყობრიდან გამოვიდა.

– ჩემთან წამოხვალ, „პახმელიაზე“ გამოვიდეთ. დანარჩენები, მარჯვნისაკენ და სირბილით იარ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დასასვენებლად აგარაკი ვიყიდეთ.

– მერე, როგორ არის საქმე, ისვენებთ?

– კი, როდესაც აგარაკზე არ ვართ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი